

K 21525  
20V

3名用紙袋  
通販用紙袋

21.525  
200

სალ. ქანთარია

# ვაზის გასხვლა და გლობური რეალაციები

ს ა ხ ე ლ მ ს ი ფ ი 8 1 8 0 8 0 9 9 8 0 8 1

ს ა ხ ე ლ მ ს ი ფ ი 8 1 8 0 8 0 9 9 8 0 8 1

6 7 0 4 0 6 0 2 0 1 9 3 6

ვალ. გ 16 თ ა 6 ი ა

K  
204

ვაზის გასხვლა და  
გაფანგ რევერსიები.



ს ა ხ ე ბ მ ა ფ ი ფ ი 8 1 8 თ ა 6 ი ა 6 ი ა  
ს ა ხ ე ბ მ ა ფ ი ფ ი 8 1 8 თ ა 6 ი ა 6 ი ა  
ტფილი 1936



634. 8  
j. 23—3

---

პ/მგ. რედაქტორი ვ. ლ. შიგაძე  
სტილისტი ალ. ლორდელი  
ტექნიკაქტორი ვ. გორგაძე  
გამომშევბი ა. ლ. ჩხერიძე ლ.  
კორექტორი ვ. ჩხეიძე.  
გადაეცა წარმოებას 23/II—36 წ.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/IV — 36 წ.  
წ. ზ. 5×8. ქ. ზ. 72×105. ტირ. 2.000  
მთაცლ. № 2772. შეკ. № 146. ფ. 4 ფ. 6 გვ.

---

სახელგამის I-ლი სტამბა პლეხანივის პრ. № 91.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

„ბრძოლა აგროტექნიკის დაუფლებისათვის, ბრძოლა მოსავლიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი გადადებისათვის“, — აი, ამ ლოზუნგის რეალურად განხორციელებისაკენ უნდა მიიმართოს საბჭოთა და ქოლმეურნეობათა საზოგადოებრივობის ყურადღება.

ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი უფრო მაღალი მწვერვალების დასაკყრობად.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში, კერძოდ, და სახალხო მეურნეობის ეკონომიკაში, საერთოდ, მევენახეობას თვალსაჩინო აღვილი უჭირავს. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ წლებამდის მაინც არ ექცეოდა სათანადო ყურადღება ამ ფრიად მნიშვნელოვან დარგს, რის გამო გვაქვს მთელი რიგი ნაკლოვანებები ზოგიერთი აგროტექნიკური ღონისძიების შესრულების საქმეში.

ვაზის კულტურის შესახებ ბევრი დაწერილა და თქმულა, მაგრამ მეცნიერებას და მევენახეობის პრაქტიკას კიდევ ბევრი ახალი საკითხი აქვს გადასაჭრელი. ამავე დროს, მთელი რიგი საკითხები, უკვე დამუშავებული და მიღებული მევენახეობის პრაქტიკაში, საჭიროებს გადასინჯვას, გამოცდილებათა გაცვლა-გამოცვლას, კვლევითი მუშაობის გაშლასა და გაფართოვებას.

ვაზის კულტურა განსაკუთრებით მგრძნობიარეა სხვადასხვა აგროტექნიკურ ღონისძიებათა მიმართ და

მერძნობიარეა იმდენად, რომ ვერ იტანს არაკულტურა /  
რულ და გამოუცდელ ხელის მიკარებასაც კი. ჩვენს ისითვის  
ნამდვილეში ზოგიერთი სამუშაოს ტექნიკური შესრუ-  
ლება ვერ არის სათანადოდ დაყენებული. ამ მხრივ უფ-  
რო მეტი ყურადღება უნდა მიეჭცეს კადრების შექმნას.  
საჭიროა თითოეული სამუშაო სრულდებოდეს მისი ყო-  
ველგვარი წვრილმანი მოვლენის წინასწარ გარჩევითა  
და გათვალისწინებით.

ვენახის მოსავლიანობის რაოდენობრივი და ხარის-  
ხობრივი გადიდება ბევრად არის დამოკიდებული თვით  
აგროტექნიკურ ღონისძიებების მაღალხარისხოვნად შეს-  
რულებაზე, რაც ხშირად სინამდვილეში ვერ ტარდება,  
უმეტესად უცოდინარობის გამო.

ვენახში ჩასატარებელ სამუშაოთა შორის გასხლვას  
მთავარი ადგილი უჭირავს; ის მოიხოვს ვენახის მოვ-  
ლის ერთგვარ საფუძვლების ცოდნას, ამიტომ ეს ოპე-  
რაცია როგორ სამუშაოდ უნდა ჩაითვალოს. ქვემოთ გან-  
ვიხილავთ ვაზის გასხლვას და მწვანე ოპერაციებს.

## გ ა ს ხ ვ ლ ა

ვაზი შეცნარეთა თანასაზოგადოების წარმომადგენელი; ბუნებრივ პირობებში მას ახასიათებს სიმაღლეში ზრდა, რათა უხვად სარგებლობდეს მზის სხივებით. გარეულ მდგომარეობაში ვაზის დამახასიათებელია: არა-რეგულარული მოსავალი, პატარა მტევანი, წვრილი, ნაკლებხორციანი მარცვლები — ბევრი თესლით, ნაკლები შაქრიანობა და მეტი სიმჟავე. ასეთია მოკლედ ვაზის ცხოვრების სამეურნეო შინაარსი ბუნებრივ პირობებში. კულტურულ მოშენების დროს ძირითადად იცვლება მისი ცხოვრების ბუნებრივი კანონები; ამაში მთავარ როლს გასხვლა თამაშობს. ვაზის კულტურა და მისი მოვლის სხვადასხვა წესი უხსოვარ დროიდან მოდის. თუ რა დიდი ისტორიული წარსული აქვს თვით გასხვლასაც, ჩანს იქიდან, რომ ძველ რომში გაუსხლავი ვაზის ყურძნის მსხვერპლად შეწირვა აკრძალული იყო.

საუკუნოების განმავლობაში მევენახეობის პრაქტიკამ, მთელ რიგ თაობათა შეცომებზე დაკვირვებამ და აქცდან გამომუშავებულმა ჩვევებმა შეასწავლა მევენახეებს გასხვლის წესები. ეს წესები ბევრ შემთხვევაში მნიშვნელოვანი, შეიძლება სწორიც, ცხადია, მოკლებული იყო მეცნიერულ დასაბუთებას.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, გასხვლა რთულ ოპერაციას წარმოადგენს. ამ სამუშაოს შესრულებაში ხშირად

გვაქვს უხეში, არასწორი მიღვომა, ეს კი იწვევს პრაქტიკული კისა და მეცნიერების შეუთანხმებლობას. გასხვლის წესის მექანიკური დაცვა და მისი შაბლონურად შესრულებული ბა, რასაც ჩვენში ჯერ კიდევ ხშირად აქვს ადგილი, იწვევს დამახინჯებულ და დასუსტებულ ვაზების გამრავლებას, რის გამო ვლებულობთ არათანაბარ მოსავალს, აშუალო მოსავლის შემცირებას და საერთოდ ვენახის მცურე დროით მოსახურებას.

გასხვლის მიზანი. გასხვლით ვაღწევთ შემდეგ მიზანს:

1. ვაზის ზრდა-განვითარებას ვუფარდებთ კლიმატურ და ნიაღავის პირობებს.
2. ვაძლევთ ვაზს განსაზღვრულ ფორმას, რომელიც აადგილებს მის მოვლასა და, საერთოდ, აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებას.
3. ვაძლებთ ვაზს მოგვცეს ყოველწლიურად თანაბარი და დიდი მოსავალი.

4. ბევრ შემთხვევაში საშუალებას გვაძლევს უნაყოფო ვაზი ან მისი ნაწილი ნაყოფიერად ვაქციოთ.

5. ხელს უწყობს მოსავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

6. აიძლებს ვაზს ნაყოფი გამოიტანოს უფრო დაბლა, ვიდრე მის ბუნებრივ პირობებში განვითარებას დროს ხდება ხოლმე.

ჩამოთვლილ მიზანდასახულობიდან გამომდინარეობს მთელი რიგი ამოცანებისა, რომლებიც გასხვლის დროს უნდა იქნას გადაჭრილი.

ეს ამოცანები შემდეგია:

1. ვაზი სრულ მოსავალს დარგვიდან 3—4 წლის შემდეგ იძლევა. მანამდის ხდება შტამბის ანუ ტანის გამოყვანა. მხედველობაში გვაქვს ძირითადად გუიოს წესით გასხვლა, რომელიც ჩვენში ფართოდ არის გავრცელებული. მაშასადამე, პირველ ამოცანას უნდა წარმოადგენ-

დეს წესიერი შტამბის გამოყვანა. ამასთან ერთად უნდა  
აღინიშნოს, რომ ვენახის გაშენების დროს ნორმალური  
ვაზის მისაღებად საღი და მოსავლიანი სარგავი მასალებრივი  
შერჩევასა და დახარისხებას უნდა მიექცეს განსაკუთრე-  
ბული ყურადღება, ნამეტნავად ჩვენს პირობებში, სა-  
დაც ვენახის გაშენება მხოლოდ ნამყენი ვაზებით ხდება;  
პირველ წლებში დაშვებული შეცომები გავლენას ახ-  
დენს ვაზის შემდგომ განვითარებაზე და ბევრ შემთხვე-  
ვაში ეს შეცომები გამოისწორებელი რჩება.

2. ვაზის უმთავრესი ჯიშები სანაყოფო ყლორტებს  
იძლევა იმ კვირტებიდან, რომლებიც ერთწლიან რქაზე  
განწყობილი; უკანასკნელი კი განვითარებული უნდა  
იყოს ორწლიან ტოტზე. გამონაკლისს წარმოადგენს გა-  
მე, არამონი და ზოგიერთი სხვა ჯიში, რომლებიც ვაზის  
ძველ ნაწილიდან გამოტანილი რქიდანაც იძლევა მტე-  
ვანს. ვაზის ეს ბიოლოგიური თავისებურება უნდა მი-  
იღოს მხედველობაში გამსხვლელმა და გაითვალისწინოს  
არა მარტო მისი მიმდინარე წლის მდგომარეობა, არა-  
მედ მომავალი წლის ფორმის ელემენტებიც. მან უნდა  
გაარკვიოს ნათლად იმ კვირტების განწყობა, რომლები-  
დანაც უნდა განვითარდეს მომავალი წლის სანაყოფი  
და სამამულე ყლორტები; წინააღმდეგ შემთხვევაში გა-  
სხვლა ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას.

3. გასხვლით უნდა დავამყაროთ ერთგვარი წონასწო-  
რობა ვაზის ფესვთა სისტემასა, ნიადაგს ზემო ნაწილის  
განვითარებასა და მოსავლიანობას შორის. ეს მეტად  
რთული ამოცანაა, რომელიც ემყარება მცენარეთა ფი-  
ზიოლოგიის საფუძვლებს, ანუ კვებისა და ზრდის პრო-  
ცესებს, რომელთა უცოდნელობითა და გაუთვალისწი-  
ნებლობით შეუძლებელია წესიერი გასხვლა.

გამსხვლელმა უნდა იცოდეს, რომ გასხვლის დროს  
ერთი ნაწილის მოშორებით ხელს ვუწყობთ დარჩენილი  
ნაწილის უფრო ძლიერ განვითარებას.

სარკმალი  
სამუშაო

განსაზღვრულ ფარგლებში ყოველგვარი დაზიანება,  
რქის გადალუნვა-დაკავება, იწვევს წვენის მოძრაობის  
შეფერხებას, რაც ამცირებს ზრდის ძალას და აღიდებს  
მოსავლის მოცემის უნარიანობას.

რქის ვერტიკალური მდგომარეობა იწვევს მასზე გან-  
წყობილ ზედა კვირტების უფრო იდრე განვითარებას  
და ზედა ყლორტების უფრო ძლიერ ზრდას.

გასხვლის დროს, რამდენად მეტ კვირტს ვსტოვებთ  
ვაზზე, იმდენად მათგან განვითარებული ყლორტი სუს-  
რი ზრდისა იქნება.

განსაზღვრულ ფარგლებში, ვაზის ან მისი ნაწილის  
მიღრეკილება მოსავლიანობისაკენ უკუპროპორციულია  
ზრდასთან, ე. ი. ზრდის შეფერხება აღიდებს მოსავლის  
მომცემ უნარიანობის გადიდებას.

კიდევ ვიმეორებ, განსაზღვრულ ფარგლებში ყოვე-  
ლი ლონისძიება, რომელიც ხელს უწყობს სავეგტაციო  
ძალის გადიდებას, ამცირებს მოსავლიანობას და, პირ-  
ქით, ვეგეტაციის შეფერხება ხელს უწყობს მოსავლია-  
ნობის გადიდებას. ამ ფიზიოლოგიური მოვლენების რე-  
ალიზაციისათვის გამსხლველს გადასაჭრელი აქვს მეტად  
რთული ამოცანა, რასაც მარტო იარაღის მოხერხებუ-  
ლად მოხმარებით, მექანიკური და შაბლონური მიღვო-  
მით ვერ გადაწყვეტს.

გასხვლისაგან სასურველი ეფექტის მისაღებად ის  
უნდა ერკვეოდეს ზემოთდასახელებულ მოვლენებში,  
მხოლოდ ასეთი ცოდნის შემდეგ შესძლებს ის სათანა-  
დოდ გაითვალისწინოს ვაზის გარეგნული შეხედულება,  
მისი წარსული წლის ცხოვრება და ისე შეუდგეს მის

გასხვლის. თითოეული ყლორტის განვითარების ხასიათი და ვაზის ძველი ნაწილის ამონაყარები გვიჩვენებს, თუ  რამდენად არის დაცული წონასწორობა სავეგეტა ფორმა ნაწილების ზრდა-განვითარებასა და მოსავლიანობას შორის.

სუსტად განვითარებული წვრილი რქები, გასხვლის დროს, იმის მაჩვენებელია, რომ წარსულ წელში გა-სხვლა გრძლად ყოფილა ჩატარებული; და, პირიქით, ძლიერ განვითარებული და ზოგიერთ შემთხვევაში გა-დაკარგებით მსხვილი რქები, იმის მაჩვენებელია, რომ წარსული წლის გასხვლის დროს ნაკლები რაოდენობის კვირტები ყოფილა დატოვებული, რის გამო ვაზი არ იქნებოდა მოსავლით დატვირთული. ამ მომენტების გა-თვალისწინების დროს დაშვებული შეცომები და „ა-შუალო მდგომარეობის“ მოძებნის უკოდინარობა ვე-ნახში გვაძლევს, ერთის მხრით, შედარებით მცირე მო-სავლიან ვაზებს, ხოლო მეორე მხრით, გადაკარგებულ დატვირთვას და შემთხვევით დიდი მოსავლის გამო ვა-ზის უდროოდ დასუსტებას და, საერთოდ, წლიური სა-შუალო მოსავლიანობის შემცირებას.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გასხვლასთან დაკავშირებული კანონები და ვაზის მოვლის მთელი რიგი წესები მევე-ნახეობის პრაქტიკამ გამოიმუშავა საუკუნოების განმავ-ლობაში, ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთების გარე-შე. მეცნიერული დისციპლინებისა და, ამ შემთხვევაში, მცენარეთა ფიზიოლოგიის წინსკლამ საშუალება მო-გვცა, რომ კრიტიკულად შევუდგეთ ამათუმიმ ღონისძიე-ბის გატარების მიზანშეწონილობას. სოფლის მეურნეობა შედარებით გვიან გადადის მეცნიერულ საფუძვლებზე-ფართოვდება კვლევითი მუშაობა, მუშავდება ახალი ღონისძიებები.

გასხვლასთან დაკავშირებით ყველაზე მეტი ყურადღიანობას იძყრობს კალიფორნიელ მეცნიერთა — ბიოლოგიური მუზეუმისა და ვინკლერის ცდები.

მეცნიანეობის პრაქტიკაში მიღებული დებულება, რომ ვეგეტაციის ძალა და მოსავლიანობა ერთმანეთისადმი უკუპროპორციულია, უკიდურესობაში გადავარდა. აიღეს მიმართულება ძლიერი სხვლისაკენ. მოხდა ჯიშების კლასიფიკაცია გასხვლის ამათუიმ წესის შეფარდების საფუძველზე, რქაზე სანაყოფე კვირტების განწყობის მიხედვით. დღემდის განმტკიცებული შეხედულება, რომ ჯიშის მიხედვით, სანაყოფე კვირტები ვითარდება რქის ან ზედა ნაწილში ან შის საფუძველთან, კალიფორნიელ მეცნიერთა — ვინკლერისა და ბიოლეტის მიერ დარღვეულია, რაც დასტურდება ადესის საცდელ სადგურის მონაცემებითაც. მაგ., ალიგოტემ, რომელსაც მიაწერენ სანაყოფე კვირტების განვითარებას, რქის ქვედა ნაწილში, ისინი განვითარა რქის ზედა ნაწილში.

ჩვენში, გასხვლის დროს რომ ასეთ უკიდურესობას ჰქონდა და ნაწილობრივ ახლაც ადგილი აქვს, უკვე ნათელია. აუარებელი ამონაყარი ვაზის ძველ ნაწილზე, სანაყოფე რქაზე, მთავარ კვირტს გარდა, მრავალი დამატებითი კვირტის განვითარების გამოწვევა აშკარად ამტკიცებს ზემოთალნიშნულ მდგომარეობას.

ახალი მოსაზრებები ლაპარაკობს ასეთი შკაცრი გასხვლის წინააღმდეგ; მაგრამ აქაც ერთგვარი სიფრთხილეა საჭირო. ვინკლერი და ბიოლეტი თავიანთი მუშაობის შედეგად ასკენიან, რომ საუკეთესო ხარისხისა და დიდი მოსავლის მიღება შეიძლება მაშინ, როდესაც ვაზს არ ვსხლავთ და ვაწარმოებთ მტევნების შეთხელებას: როგორც მოსავლიანობა, ისე გასხვლა აშცირებს

ვეგეტაციის ძალასთ და სხვა. ამ დასკვნებში ბევრი რამ არის საეჭვო და აქაც ერთგვარ უკიდურესობას აქვს იდ-  
გილი, მათი გატარება პრაქტიკაში უფრო გაძნელებული  
რადგან, როგორც აღვნიშნეთ, გასხვლა აადვილებს პი-  
რობებს აგროტექნიკურ ღონისძიებათა გასატარებლად.

ჭრილობების მიუწვდომელი ვაზისადმი და, საერთოდ, ყო-  
ველგვარი ქირურგიული ოპერაციები არასასურველი  
მოვლენაა, მაგრამ აუცილებელი და ამ აუცილებლობის  
შემთხვევაში უნდა შეგვეძლოს საუკეთესო წესის გამო-  
ძებნა.

ამიტომ დებულება, რომელიც ამბობს მოსავალი  
ზრდის უკუპროპორციულია, საჭიროა უკიდურესობი-  
საგან გავათავისუფლოთ, რაც დაუბრუნებს მას იმ ში-  
ნაარს, რომლისათვისაც ის ნათქვამია.

გასხვლის ახალი თეორიები საინტერესოა და პრაქ-  
ტიკული ლირებულების მქონე იმდენად, რამდენად ისინი  
ცვლიან არსებულ წესებს გასხვლის საქმეში, ნაკლები  
ჭრილობების, დაზიანებისა და მეტი მწვანე ზედაპირის  
აუცილებლობის საფუძველზე.

ამ მხრივ ჩვენს ვენახებს ესაჭიროება გადახალისება.  
ჩვენს ვენახებში ვაზებს მეტი ყლორტებისა და მტევნე-  
ბის მოვლა შეუძლია, მაგრამ კვირტის რაოდენობის გა-  
დიდება გასხვლის დროს უნდა მოხდეს არა სანაყოფე  
რქის ზედმეტად დაგრძელებით, არამედ უნდა დავტო-  
ვოთ ორი სანაყოფე რქა, რომელთა უპირატესობა უკვე  
შემჩნეულია. უნდა ვეცადოთ, რომ ახალ ნარგავებში  
მივსცეთ ვაზს გუიოს ორმხრივი ფორმა, რომელიც აად-  
გილებს ზრდისა და მოსავლიანობის რეგულაციას.

ბუნებრივ განვითარებისა და ზრდის პირობებში ვა-  
ზის ცხოვრების ხანგრძლივობა არ არის შეზღუდული.  
კულტურულ მოშენების დროს კი მისი სიცოცხლის ხან-

გრძლივობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საგრძნობლად  
შემცირებულია და ამის მთავარი მიზეზი გასხვლას უნდა  
და შეიწეროს. გასხვლის დროს უწესოდ მიყენებულ  
ჭრილობები იწვევს ვაზის კიდევ უფრო მეტად დასუს-  
ტებას, რასაც მოსდევს მისი უდროოდ დაღუპვა. გამოვ-  
დივართ რა აქიდან, ჭრილობების მიყენების მხრით გა-  
სხვლა უნდა დავუმორჩილოთ ერთგვარ პრინციპს, რათა  
მაქსიმალურად გავახანგრძლივოთ ვაზის სიცოცხლე და  
ჩვენდამი მისი მომსახურება.

ჭრილობათა მიყენების პრინციპები. გასხვლის დროს,  
პირველ ყოვლისა, უნდა ვერიდოთ დიდი ჭრილობების  
მიყენებას და ყოველი ღონისძიება იქითვენ უნდა მივ-  
მართოთ, რათა დავიცვათ ჭრილობების ცალმხრივობის  
პრინციპი, ე. ი. ყოველწლიურად მიყენებული ჭრილო-  
ბები ერთ მხარეზე იყოს განწყობილი, ხოლო მეორე  
მხარეს — საკვებ მასალათა გამტარებელი მილები შე-  
დარებით დაუზიანებლად დარჩეს, რაც ხელს შეუწყობს  
წვენის თავისუფლად და შეუფერხებლად მოძრაობას.

ჭრილობები, გარდა იმისა, რომ აფერხებს წვენის თა-  
ვისუფალ მოძრაობას, წარმოადგენს სხვადასხვა სოკო-  
ვან ავადმყოფობათა თავშესაფარ ადგილს. ამასთან ერ-  
თად, ვაზი ჭრილობების გარეთა მხრიდან შემახორცი-  
ბელ ქსოვილს სუსტად ივითარებს.

საერთოდ, როდესაც ვაზი ახალგაზრდაა, ჭრილობები  
ვერ აყნებს იმდენ ზიანს, რაღაც ის ინტენსიურ ზრდას  
ვანიცის მთელი თავისი ორგანოებით. მაგრამ 7 — 8  
წლიან ან მეტი ხნის ვაზების ძველ ნაწილზე დიდი ჭრი-  
ლობები ძნელად ხორციება და ამიტომ შეძლებისადა-  
გვარად უნდა ვერიდოთ ასეთი ჭრილობების მიყენებას.  
გასხვლის დროს ყველა მოსაჭრელი ძველი ცოცხალი ნა-  
წილი უნდა მოვჭრათ არა საფუძველთან, არამედ მის-

გან 3—4 სმ. დაშორებით (დეზიმერის წესი). ეს წესი  
ააღვილებს შეხორცების მსვლელობას, და საბოლოო უნდა იყოს მას მოვაშორებო შემდეგი გასხვლის დროს, როდე-  
საც ის ოკენი გამხმარი იქნება. ამ სამუშაოს, პრაქტიკუ-  
ლად შესრულების დროს, არ ეძღვა სათანადო ყუ-  
რადღება.

ხშირად, სათანადო იარაღის უქონლობის გამო, ვაზ-  
ზე ტოვებენ ისეთ ნაწილს, რომელიც გასხვლის წესიე-  
რად შესრულების პირობებში არ უნდა დაეტოვებიათ.  
ეს არ არის დასაშეგბი. სხელის დროს გამსხვლილს, სე-  
კატორის გარდა, ონდა ჰქონდეს ხერხიცა და თანაც, რა-  
თა ოპერაცია დასრულებულად ჩატარდეს. ხერხით მო-  
გაშორები ისეთ ნაწილებს, რომლებსაც სეკატორი ვერ  
მოსჭრის. ხოლო დანით ასეთ ჭრილობას საბოლოოდ ვა-  
სოთთავიბთ. ეს ელემენტარული ამზადი ხშირად ან გვა-  
ვიწყდება ან და შეგნიბულად კუნცევთ გვირდს. ყოველ-  
გვარი წვრილმანი სამუშაო, რომელსაც რეალური ლი-  
რიბულება აქვს, გულდასმით ონდა შევასრულოთ. ერთი  
რომელიმე ლონისძიების არაწისიტრად შესრულება უკარ-  
გაუს მნიშვნელობას დანარჩენ წესიერად შესრულებულ  
ლონისძიებებსაც.

გასხვლის დროს. ერთწლიანი ჩქები უმჯობესია გა-  
თავსრათ უკანასკნელ დასატოვებელ კვირტის ზედა  
მუხლში.

ასეთი წესი, სხვა დადებით მხარეებთან ერთად, ხელს  
ოწყობს სანაყოფე რქის გადაკავების დროს დამაგრებას,  
რომ არ გამოსხლოჩეს.

ქვემოთ განვიხილავთ ვაზის გასხვლას, სინამდვილი-  
ლან აოებული ზოგიერთი მაგალითის მიხედვით.

გასხვლის წარმოება. საერთოდ, ვაზის ცხოვრება-  
განვითარებაში აღამიანის ხელი იმდენად არის ჩარეც-

ლი, რომ მას თითქმის მთლიანად ხელოვნურად შექმნა /  
ლი იგებულება აქვს. თავის აგებულების მიხედვით ზები  
ვენახში იმდენად მრავალნაირი გადახრებით ხა-  
სიათდება, რომ იშვიათი მოვლენაა ორი ვაზი მთლიანად  
ერთმანეთს ჰგავდეს; ამიტომ თითოეული ვაზის გასხვლა  
ცალკე ამოცანად უნდა წარმოვიდგინოთ. გამსხვლელს თა-  
ვის ცნობიერებაში ნათლად უნდა ეხატებოდეს იდეა-  
ლურად გასხლული ვაზის აგებულება, რათა თითოეულ  
ცალკე შემთხვევაში გამონახოს გასხვლის უკეთესი წესი  
და მიღომა.

ჩვენში გასხვლის საქმე ძლიერ მოიკოჭლებს. არავი-  
თარი ყურადღება არ ექცევა გასხვლის დროს ჭრილო-  
ბების ცალმხრივობის დაცვის პრინციპის ცხოვრებაში გა-  
ტარებას, არა მარტო მსხლველ მუშათა შორის, არა-  
მედ თვით მევენახე-სპეციალისტების მხრითაც. ასეთ შე-  
მთხვევებში მუშები ნაკლებად ღებულობენ საქმიან შე-  
ნიშვნებს სპეციალისტებისაგან. ადვილად წყდება ვაზის  
შტამბზე გადაჭრის საკითხი დადაბლების მიზნით და  
სხვა. ხშირად, ასეთი უხეში მოპყრობის გამო შეწუხე-  
ბული ვაზები ჩვენს ვენახში ნააღრევად სუსტდება, მა-  
ხინჯდება და ნაკლებ გამძლეობას იჩენს სხვადასხვა  
ანორმალურ პირობებთან ბრძოლაში.

საერთოდ, ჭრილობების დაცვის პრინციპს სერიოზუ-  
ლი ყურადღება უნდა მიექცეს თავიდანვე, შტამბის გა-  
მოყვანისას.

სანამ მოსავლიანი ვაზების გასხვლაზე გადავიდოდეთ,  
საჭიროა მოკლედ განვიხილოთ დარგვის პირველი, მე-  
ორე და მესამე წლის გასხვლა. არსებობს აღზრდის მრა-  
ვალი მეთოდი, რაც საბოლოოდ ყალიბდება გასხვლის  
ამათუმიმ სისტემით. გასხვლის სისტემები ერთიმეორისა-  
გან იმით განსხვავდება:

1. თუ როგორ ფორმას ღებულობს ვაზი გასხვლის /  
შედეგად, და 2. როგორ არის მასზე განაწილებული შეკრიტიკა  
ური ნაზარდი.

თვით გასხვლის პრინციპები ერთიდაიგივეა ყველა  
სახის გასხვლისათვის. ამიტომ გასხვლას განვიხილავთ  
გუიოს ფორმის მიხედვით, რადგან ძირითადად ეს ფორ-  
მაა ჩვენში გავრცელებული.

დარგვის პირველი წლის გასხვლა. მხედველობაში  
გვაქვს ერთწლიან ნამყენებით გაშენებული ვენახი.

დარგვის პირველი წლის ვაზისადმი მზრუნველობა  
მიმართული უნდა იყოს იქითევნ, რომ მივიღოთ ერთი  
კარგად განვითარებული რქა. პირველ წელს მწვანე ოპე-  
რაციებს, რაზედაც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება ლა-  
პარაკი, არ ვატარებთ, ამით ხელს უწყობთ ფესვთა სის-  
ტემის უფრო ძლიერ განვითარებას. გასხვლის დროს ამო-  
ვირჩევთ საუკეთესოდ და სწორად განვითარებულ რქას  
და ესხლავთ მას ორ კვირტზე. რქას გადავჭრით და-  
სატოვებელ კვირტის ზედა მუხლში. დანარჩენ რქას ვა-  
შორებით მოლიანად. გასხვლა უნდა ჩატარდეს ადრე გა-  
ზაფხულზე.

მეორე წლის გასხვლა. წინა წლის გასხვლის დროს  
ვაზზე ორი კვირტი იყო დატოვებული; მაშასადამე.  
ნორმალურ შემთხვევაში, მეორე წელს უნდა მივიღოთ  
ორი კარგად განვითარებული რქა, დანარჩენი გაფურ-  
ჩქნისა და ახვევის დროს უნდა მოვაშოროთ. მწვანე  
ოპერაციებიდან ვაწარმოებთ: 1. ნამხრევების შეცვლას  
და 2. ყლორტების წვეროების წაწყვეტას ავვისტოს პირ-  
ველ რიცხვებში.

გასხვლას უნდა შევუდგეთ თითოეული ვაზის განვი-  
თარების ხარისხის მიხედვით. მეორე წლის გასხვლის  
დროს გამოგვყავს შტამბი, მაგრამ ვენახში შეგვხვდება

სუსტად განვითარებული ვაზებიც, რომელთა მიმართ /  
შტამბის გამოყვანისათვის გასხვლას შემდეგ წელს კასტრიშვილი  
წარმოებთ, ე. ი. შტამბის გამოყვანა ერთი წლით დაგვი-  
ანდება.

შტამბის გამოსაყვანად გასხვლის დროს, ვტოვებთ  
რქას და ესხლავთ იმ სიმაღლეზე, რომელიც მიღებულია  
აგროწესებით აღგილობრივი პირობებისათვის. ამ შემთხ-  
ვევაში ხდება ზედმეტი კვირტების დაბრჩავება ან გა-  
ფურჩქვნის დროს ვაშორებთ მათ ისე, რომ საბოლოოდ  
ვაზზე დარჩეს 2—3 ყლორტი. ამ გასხვლით ზოგიერთ  
ვაზს ვამზადებთ მომავალი წლისათვის ნორმალური  
ფორმის მისაცემად.

გაფურჩქვნის დროს სამამულე და სანაყოფე ყლორტები ისეთი განწყობით უნდა დავტოვოთ, რომ სასურ-  
ველ შემთხვევაში შემდგომი გასხვლის დროს შეგვე-  
ძლოს ჭრილობების ცალმხრივობის პრინციპის დაცვა.

მესამე წლის გასხვლა. თამამად განვითარებულ ვა-  
ზებს ესხლავთ სრულ მოსავალზე; ვუტოვებთ ნექს და  
საკავებელს. უფრო სუსტებს კი—ორივე დანეკილ რქას.  
ამასთანავე მთლიანად ვაშორებთ მესამე ან მეოთხე  
რქას, თუ ასეთები მათ მოეპოვება. ზრდაში თავიდანვე  
ჩამორჩენილ ვაზების მიმართ კი, რომლებიც ხელმეო-  
რედ იყო გასხლული ორ კვირტზე, ახლა გასხვლას ვა-  
წარმოებთ შტამბის გამოყვანისათვის.

მეოთხე წელს ვენახი ხდება სრულმოსავლიანი.

გადავიდეთ სრულმოსავლიან ვენახების გასხლვაზე.

სრულ მოსავლიანი ვენახის გასხვლა. ქვემოთმოყვა-  
ნილი სინამდვილიდან აღებული გასხვლის მაგალითები  
არ წარმოადგენს განსაკუთრებით რთულ სამუშაოს, მაგ-  
რამ მათი განხილვა ხელს შევიწყობს გასხვლის ზოგი-  
ერთ საფუძვლის უფრო ნათლად გარკვევაში.

I შემთხვევა. სურათი 1-ლი თვალსაჩინოდ გვიჩვის ხებს, რომ შტამპის გამოყვანისა და შემდეგ წლებშიც /  
სხვლის წარმოებისას ჭრილობების ცალმხრივობიც //  
ცვის პრინციპი სრულებით არ ყოფილა მხედველობაში  
მიღებული, მაგრამ საქმის გამოსწორება კი უკვე ძნე-  
ლია. ეს სურათი ერთ-ერთ საუკეთესოდ გასხლულ ვა-  
ზებიდან არის აღებული.

ნეკი შპალერის სიბრტყეშია მიქცეული. რქების გან-  
წყობა წესიერია, ვაზისათვის მომავალ წელს ფორმის მი-  
საცემ მასალის შესაჩევად. ამ შემთხვევაში გასხვლისთან  
დაკავშირებულ საკითხის გადაჭრა, შედარებით, აღვილია,  
რისთვისაც შეგვიძლია განვიხილოთ ორი ვარიანტი.


პირველი ვარიანტი: ძველ საკავებელს, ერთლწიან  
რქებით, მოლიანად ვაშორებთ. ნეკის პირველ რქას ქვა-  
მოდან ვტოვებთ სამამულედ, მეორეს — სანაყოფედ,  
რომლის ზედა ნეკს გადავჭრით და მესამე რქას მოვა-  
შორებთ; გასხვლის შემდეგ ვაზი მიიღებს ისეთ შეხე-  
დულებას, როგორიც მე-2 სურათზეა ნაჩვენები (იხ.  
სურ. 1 და 2).

ამ შემთხვევაში დაცულია ჭრილობების მიუენების  
ცალმხრივობის პრინციპი უკანასკნელ წლების გასხვლის-  
თან დაკავშირებით; მაგრამ აღნიშნულ ვარიანტს მაინც  
ახასიათებს ერთგვარი ნაკლი, რაც მდგომარეობს შემ-  
დეგში: ისედაც გამრუდებული შტამპი ამ ვარიანტის  
დროს კიდევ უფრო მრუდდება და, ამასთან ერთად, მო-  
მავალ წელს გასხვლის დროს მიუენებული ჭრილობა  
ახლო იქნება წინა წლის ჭრილობასთან.

მეორე ვარიანტი: ნეკის პირველ რქას ქვემოთან  
მოვჭრით; ნეკად დავტოვებთ მეორე რქას. ტესამეტ უკან  
საც ნეკზე მოვაშორებთ, როგორც სუსტად განვითარე-  
ბულს და სანაყოფედ უვარებისს. სანაყოფედ რქას ასეთი  
2 ვაზის გასხვლა და მშვანე ოპერაციები



Տպ. 1. (որոցնելու)



Կապ. 2.

ვებელზე ამოვირჩევთ. ამ ვარიანტის დროს შტამპზ  
სწორდება, მაგრამ ირლვევა კრილობების ცალმხრივო-

იარაღისა  
უბაზირის




სურ. 3.

ბის პრინციპი, რადგან მომავალი გასხლვის დროს კრი-  
ლობა მეორე მხარეს გადავა. ამასთან ერთად, სანაყო-


ფე რქის დატოვება საკავებელზე მომავალი წლის გა-  
სხვლის დროს შტამბზე იწვევს უფრო დიდ ჭრილობას  
რადგან საკავებლის საფუძვლის ძველი ნაწილი, რომელ-  
ზედაც ჭრილობა უნდა მივაყენოთ ვაზს, უკვი სამწლი-  
ანი იქნება. ამნაირად, უმჯობესია პირველი ვარიანტი  
მივიღოთ.

**II შემთხვევა** (იხ. სურ. 3). ნეკზე განვითარებულია  
სამი რქა. პირველი რქა ქვემოდან, იმას გარდა, რომ  
სუსტია, მდებარეობის მიხედვითაც არ გამოდგება სამა-  
მულედ. მისი ნეკად დატოვების შემთხვევაში ჭრილობის  
ცალმხრივობის პრინციპი არ დაირღვევა, მაგრამ ის იმ-  
დენად დაბლაა განვითარებული, რომ შემდგომი წლები  
გასხვლის ჭრილობას (საკავებლის მოჭრა) ამ წლის ჭრი-  
ლობის უშუალოდ გაგრძელება იქნება. ამიტომ პირვე-  
ლი რქა ნეკზე (ქვემოდან) უსათუოდ უნდა შოვაშოროთ.  
მეორე რქას სამამულედ ანუ ნეკად ვსტოვებთ, მესამეს  
სანაყოფედ. უმჯობესი იქნებოდა მეორე რქას გარეგანი  
მდებარეობა ჰქონებოდა, რადგან არსებულ შემთხვევაში,  
მომავალი წლის გასხვლის დროს დაირღვევა ჭრილობის  
ცალმხრივობის პრინციპი; მაგრამ ამ მდგომარეობას აპ-  
სუბუქებს ის გარემოება, რომ შემდეგი წლის ჭრილობა  
საკმაო მანძილზე იქნება დაშორებული წინა წლის ჭრი-  
ლობიდან. გასხვლის შემდეგ ვაზი მიიღებს ისეთ სახეს,  
რომელიც სურათზეა ნაჩვენები (იხ. სურ. 4).

**III შემთხვევა** (იხ. სურ. 5). გასული წლის გასხვლის  
დროს ვაზს სამამულე არ ჰქონებია დატოვებული. რო-  
გორ უნდა აღვუდგინოთ ვაზს ფორმა? პირველი რქა  
ქვემოდან არ გამოდგება სამამულედ, რადგან ის ჭრი-  
ლობის ნაპირზეა განვითარებული და მომავალი წლის  
გასხვლის დროს ორ ჭრილობას შორის იქნება მოთავსე-  
ბული, რაც წვენის მოძრაობისათვის გადაჭარბებით



Լուս. 4.




სურ. 5.

ანორმალურ მდგომარეობას შექმნის. მაშასაღამე, პირველ რქას მთლიანად ვაშორებთ. მცირე რქასაც არ აქვს სასურველი მდებარეობა, რადგან მისი სამამულედ

დატოვება დაარღვევს ჭრილობების ცალმხრივაზე //  
პრინციპს, ხოლო ამის აშორება, ამ შემთხვევაში უძლეს გადა  
ვიღად შეიძლება. ამისათვის მეორე რქაც უნდა შო-  
შორდეს. დაკვირვებული მეურნის გამოცდილი ხელი  
მათ გაფურჩქვნის დროს მოაშორებდა. სამამულედ  
ვტოვებთ მესამე რქას, რომელსაც საუკეთესო მდებარე-  
ობა აქვს; მეოთხე რქას კი — სანაყოფეთ. გასხვლის შემ-  
დეგ ვაზი ლებულობს ისეთ სახეს, როგორც სურათზეა  
ნაჩერები (იხ. სურ. 6).

IV შემთხვევა ანალოგიურია მესამე შემთხვევის  
(იხ. სურ. 7). გასული წლის გასხვლის დროს ნეკი არ  
ჰქონებია დატოვებული, მაგრამ ვაზს ფორმა მაინც უნ-  
და აღვუდგინოთ.

პირველი და მეორე რქა ქვემოდან სამამულედ არ  
გამოდგება. პირველი იმიტომ, რომ ის ძველ შტამპზეა  
განვითარებული, და მისი სამამულედ დატოვება მომა-  
ვალ გასხვლის დროს გამოიწვევს დიდი ჭრილობის მი-  
ყენებას. მეორე კი იმიტომ არ გამოდგება სამამულედ,  
რომ მომავალი წლის გასხვლის დროს ის მოექცევა ჭრი-  
ლობებს შორის; ეს კი გამოიწვევს, როგორც ზემოთ აღ-  
ნიშნეთ, წვენის ანორმალურ მოძრაობას, რასაც მოჰ-  
ყება ვაზის ჩქარი დასუსტება და მისი სიცოცხლის ხან-  
გოძლივობის შემცირება. მათი მოშორება, ცხადია, სა-  
სურველი იყო გაფურჩქვნის დროს. ყველაზე უკეთესი  
მდებარეობა სამამულედ მესამე რქას აქვს. სანაყოფე-  
სათვის საკავებელზე არცერთი რქა არ არის საიმედო,  
სუსტი განვითარების გამო. ამიტომ მესამე რქა გრძლივ  
უნდა გაისხლას, რომ მოსავლის იმედიც გვქონდეს. ამ-  
ნაირად გასხლულ ვაზებს დაკავების დროს განსაკუთრე-  
ბული ხერხით უნდა მივუდგეთ. უნდა დავაკაოთ ორი  
ჯვირტის ზემოდან მოხრით, რათა ვაზი ვაიძულოთ სა-




Նոր. 6.



Ֆուր. 7.

յացեթղուկ սալումքեղուկ կամ թիզեղուկ մոշապես յարցած ցանցուտարեթղուկ, զանգուտարեթղուկ մոմացալու թղուտարեթղուկ մուսացումու սալումքեղուկ մասալու.



Խոր. 8.

V შემთხვევა (იხ. სურ. 8). ვაზი ხასიათდება ყველა ელემენტით, რაც გუიოს ცალმხრივი ფორმისათვის ცილებელია. სასურველი იყო გასული წლის გასხვლის დროს ნეკი მოქცეოდა შპალერის სიბრტყეში, მაგრამ ეს ყოველთვის მოსახერხებელი არ არის; ამ შემთხვევაში ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად იყო არსებული მდგომარეობის თავიდან აცილების შესაძლებლობა.

როგორ უნდა გაისხლას ვაზი?

როგორც სურათიდან ჩანს, ნეკზე ორი რქა აქვთ. ნორმალური მდგომარეობის დროს ქვედა რქა სამამულედ უნდა დავტოვოთ; ზედა კი — სანაყოფოდ.

ამ შემთხვევაში ქვედა რქა სამამულედ არ გამოდგება.

ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ დავუკვირდებით მის მდებარეობას. რქა იღლიაშია განვითარებული, საკავებლისა და ნეკის გაყოფის ადგილას. ეს რქა რომ ნეკად დავტოვოთ, მომავალი წლის გასხვლის დროს ის მოექცევა ჭრილობებს შორის, რაც, როგორც ვიცით, არ არის სასურველი. ამიტომ მას აუცილებლად ვაშორებთ. ამის შემდეგ ამ ვაზის გასხვლისათვის შეიძლება მივიღოთ ორი გარიანტი:

1. მცირე რქას ნეკად ვტოვებთ. სანაყოფედ უმჯობესია საკავებლის საფუძვლის პირველი რქა.

2. მეორე რქას ნეკზე გრძლად ვსხლავთ, საკავებელს მთლიანად ვაშორებთ, ისე როგორც მეოთხე შემთხვევის დროს. ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევაში მეორე ვარიანტი უფრო მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, რადგან საკავებელი შემდეგი გასხვლის დროს მაინც უნდა მოიჭრას; ეს კი ჭრილობას კიდევ უფრო გაადიდებს, რადგან ის ნაწილი იმ დროისათვის უკვე სამწლიანი ხდება.

ძნელია ვაზის ნორმალური ფორმიდან ყველა გასხვლის ჩადასრუბის ჩამოთვლა და აღწერა, რომლებიც შეიქმნას გასხვლის დროს ვენახში შევვედეს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ თითოეული ვაზი გასხვლის დროს ცალკე ამოცანად უნდა წარმოვიდგინოთ, გავითვალისწინოთ მისი წარსული წლის ვეგეტაციის ხასიათი და მომავალი წლის მდგომარეობა.

გასხვლის დრო. ვაზის ფიზიოლოგიის შესწავლა გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ გასხვლის საუკეთესო დროდ უნდა ჩაითვალოს ადრე გაზაფხული, სანამ ვეგეტაცია დაიწყებოდეს, რადგან ფოთლის ჩამოცვენისთანავე არ ხდება ვაზის სხეულში საკვებ ნივთიერებათა გადანაცვლების აბსოლუტურად შეჩერება. მაგრამ საკითხის პრაქტიკული მხარე გვიკარნახებს თეორიულ საფუძვლებს ცოტათი გვერდი ავუხვით, თუ ეს ნაბიჯი უმნიშვნელო „და შეუმჩნეველია ვაზის შემდგომი ცხოვრების განმავლობაში. ზოგიერთის აზრით, ვაზის ტირილის დროს გასხვლაც კი არ იწვევს მის დასუსტებას (ჰეიბაუერი). გილიონმა 5 ლიტრი სითხე შეაგროვა საშუალო ხნოვანებისა და განვითარების პერიოდში მყოფ ვაზებისაგან, მათი „ტირილის დროს“. დაწოლა, რომელსაც სითხე აწარმოებდა, უდირიდა  $1\frac{1}{2}$ , ატმოსფ. აღმოჩნდა, რომ ერთ ლიტრ სითხეში მშრალი ნივთიერება უდირიდა 2 გრამს, რომელშიაც  $\frac{2}{3}$  იყო ორგანული,  $\frac{1}{3}$  — მინერალური. აქედან ის ასკვნის, რომ თუმცა სითხე ბევრ საკვებ მასალას არ შეიცავს, მაგრამ არც ისე უმნიშვნელოა, ამიტომ სასურველია თაჭირდან ავიცილოთ მათი დაკარგვაო ამნაირად ის გვირჩევს სხვლას შევუდგეთ გვიან შემოდგომიდან. შემოდგომაზე გასხვლას ამავე დროს დიდი ეკონომიური მნიშვნელობაც აქვს. გასხვლა დიდი შრომატევადობის სამუშაოა და მი-

სი შემოდგომაზე გადატანა განტვირთავს გაზაფხულის /  
სეზონს, რომელიც დატვირთულია სხვა აუსტრელიურ სკოული  
მუშაოთი.

იქ, სადაც გაზაფხულის ყინვების საშიშროება არ  
არის, ვაზის გასხვლა შეიძლება დავიწყოთ გვიან შე-  
მოდგომიდან, განვაგრძოთ ზამთრის თბილ დღეებში და  
აუცილებლად დავამთავროთ ვეგეტაციის დაწყებამდის.

## ზამთრის ყინვებისაგან დაზიანებულ ვენახის გასხვლა

1935 წლის ზამთრის ყინვებში, რომლებსაც ადგილი  
ჰქონდა იანვრის 10, 11 და 12 რიცხვებში, საგრძნობ-  
ლად დააზიანა მევენახეობის მთავარი მეურნეობები აღ-  
მოსავლეთ საქართველოში. ბევრმა მეურნეობამ (ნაფა-  
რეული, ყულარი და სხვა) მთელი მზრუნველობა გადა-  
იტანა იმაზე, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით აღედგინა  
ვენახის სრული მოსავლიანობა, რაც, უკეთეს შემთხვე-  
ვაში, შეიძლება მოხდეს 2 წლის შემდეგ.

ჩრდილოეთ კავკასიის მევენახეობის ზოგიერთ რაი-  
ონში გასული წლის ზამთრის ყინვებში მნიშვნელოვ-  
ნად გაანადგურა ვენახების ასეული ჰექტარი, რაც მო-  
ითხოვს ხელმეორედ გაშენებას.

საქართველოს ერნახების ნაწილობრივ გადარჩენა და-  
ლუპვისაგან მიეწერება იმას, რომ ყინვების დროს ვაზის  
შტამბი ნახევრად თოვლში იყო დამალული, წინააღმ-  
დეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ბევრი ვენახის  
მთლიანად განადგურება.

საქართველოს ერნახების ყინვებისაგან ასეთი დაზი-  
ანება მევენახეობის პრაქტიკას არ აქვს აღნიშნული, რა-  
საც უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ამ სტიქიურ

უბედურებას ძლიერ მოუმზადებლად შევხდით. ამან  
თან ერთად, ეს უბედურება დაკვიანებით იქნა შემჩნეული,  
ამან კი გამოიწვია ნაჩქარევად დამუშავება იმ ნისძიებათა,  
რომელთა დამატებით გატარება აუცილებელი იყო ყინვებისაგან დაზიანებულ ვენახებში.

მართალია, ვენახებისათვის დამაზარალებელი ყინ-  
ვები საქართველოს პირობებში ხშირ მოვლენად არ  
ჩაითვლება. მაგრამ ზემოაღნიშნული ფაქტი მას მაინც  
მოსალოდნელად ხდის. ეს კი გვავალებს სერიოზული  
ყურადღება მივაქციოთ ამ საკითხს და სათანადო ღო-  
ნისძიებითა და ცოდნით აღჭურვილი შევხდეთ ყოველ  
მოსალოდნელ შემთხვევას.

სანამ შევეხებოდეთ ყინვისაგან ვენახების დაზიანე-  
ბის ხარისხის განსაზღვრას და მასთან დაკავშირებით  
გასხვლის წესებს, საჭიროა ვიცოდეთ, ფიზიოლოგიუ-  
რად როგორ უნდა აიხსნას ყინვისაგან მიყენებული და-  
ზიანებით მცენარის ან მისი რომელიმე ნაწილის სიკვ-  
დილი. ამ ფაქტს ხსნიდენ ასე: მცენარის სხვადასხვა ქსო-  
ვილის უჯრედებში ყინვისაგან წყალი იყინება, ხოლო  
ფიზიკაში გამონაკლისი კანონის საფუძველზე, რომლის  
ძალით წყალი გაყინვისაგან ფართოვდება, უჯრედები  
განიცდის მექანიკურ დაზიანებას, რაც იწვევს მოლიანად  
მცენარის ან მის რომელიმე ნაწილის სიკვდილს. ამის  
შემდეგ გამოირკვა, რომ ყინული შეიძლება გაჩნდეს  
არა მარტივ უჯრედებში, არამედ უჯრედთაშორის არე-  
შიც. თუმცა ეს გარემოება არ უარყოფს უჯრედებისა  
და ქსოვილების მექანიკურ დაზიანებით მცენარის და-  
ლუპვას.

მიულერ-ტურგაუმ და მოლიშმა ექსპერიმენტალუ-  
რად გამოიკვლიეს ეს საკითხი და მივიდენ განსა-  
ზღვრულ დასკვნამდის; მათი აზრით, მიუხედავათ იმისა,

ყინული გაჩნდება უჯრედში თუ უჯრედთაშორისო  
არეში, უჯრედის შემადგენლობა (პლაზმა) სწორად ბევრ  
ბევრ წყალს კარგავს, რის გამო მისი ნორმალური ნობა  
ნობა ირღვევა და საბოლოოდ ჩერნარე იღუპება. ხში-  
რად უჯრედის შემადგენლობის მიერ წყლის გადაჭარ-  
ბებულად დაკარგვა იწვევს უჯრედში ხსნარების კონ-  
ცენტრაციას, რომელიც შეიძლება ნალექებადაც გა-  
მოიყოს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს უჯრედის  
სასიცოცხლო ფუნქციებზე.

ყინვისაგან დაზიანების ხარისხი დამოკიდებულია მის  
სიძლიერებე და ხანგრძლვობაზე. სხეადასხვა ჯიშს  
სხვადასხვა გამძლეობა ახასიათებს. რქაშითელი შედარე-  
ბით უფრო ამტანია, ვიდრე საფერავი. ევროპულ ჯიშე-  
ბიდან ყინვების უფრო ამტანია: პინო-შავი, პინო-  
ნაცრისფერი, რისლინგი, ტრამინერი, გამე, ფრეო, კლე-  
რეტი და სხვა. ნაკლებ იტანენ ყინვებს: ალიგოტე, პი-  
ნო-თეთრი, ალექსანდრიული მუსკატი, ჩაუში, მურ-  
ვედრი, ვერმენტინო და სხვა. მშრალი ზაფხულის შემ-  
დევ ვაზი ყინვებს უფრო იტანს. გამძლეობა აგრეთვე  
დამოკიდებულია რქის მომწიფებაზე. გრძლად გასხლუ-  
ლი ვაზებიდან მიღებული რქები უფრო გამძლეა, ვიდრე  
მოკლედ გასხლული. დაბლობ, ნესტიან ადგილებში ვა-  
ზი ნაკლებ იტანს ყინვებს.

ზამთრის ყინვებისაგან ვენახების დაზიანების ხარის-  
ხის განსაზღვრა. ყინვებისაგან მიყენებული დაზია-  
ნების ხარისხი შეიძლება იყოს სხვადასხვა; აქ როლს  
თაშაშობს ნაკვეთის მდებარეობა, ვაზის ჯიში, რელიეფი  
და ნიადაგის თვისება. დაზიანების ხარისხთან დაკავში-  
რებით საჭიროა გამოყენებულ იქნას გასხვლის სხვადა-  
სხვა წესიც. გასხვლის წესის ამორჩევისთვის კი საჭი-  
როა წინასწარ გამოვარკვიოთ დაზიანების ხარისხი; ეს

შემდეგნაირად ხდება: პირველად საერთოდ, ზერელზე  
დავათვალიერებთ და შევამოწმებთ ვენახს. დავაფრთხოებული  
ლიერებთ დანით კვირტის განაკერს, რქებისა და ჭრის  
ძეელ ნაწილებზე ანათალებს, რის მიხედვითაც მთელ ნა-  
კვეთს დაყოფთ დაზიანების მიხედვით სამ კატეგო-  
რიად, სამ ჯგუფად: ძლიერ, საშუალოდ და მსუბუქად  
დაზიანებულ ნაკვეთებად. შემდეგ შევუდგებით თითო-  
ეული მათვანის უფრო დაწვრილებით შესწავლას, და-  
ზიანების ხარისხის ზუსტად შემოწმება-გამოკვლევას.  
ამისათვის ყოველ მეათე რიგიდან და ოვით რიგში მე-  
ათე ან მეოცე ვაზიდან ავჭრით ერთ რქას მთლიანად —  
სულ 30 — 50 ვაზიდან. ამავე დროს უნდა დავუკვირ-  
დეთ ვაზის ძეელი ნაწილებისა და შტამბის დაზიანების  
ხარისხს. ამისათვის საჭიროა ვაწარმოოთ დანით ათლა  
ვაზის სხვადასხვა ნაწილზე. შტამბის დაზიანების შე-  
მთხვევაში, საჭიროა განისაზღვროს დაზიანების განვი-  
თარების ხასიათი მიმართული ფესვთა სისტემისაკენ. და-  
ზიანებული ნაწილის მერქანში ადვილად შევამჩნევთ  
მუქ-მოყავისფერო ზოლებს, ან მთლიან მასას დაზია-  
ნების ხასიათის მიხედვით. უფრო ნათელი სურათის მი-  
საღებად შეიძლება რამდენიმე ვაზი შტამბზე გადავ-  
ჭრათ კიდეც. თუ დავუკვირდებით გადანაკერზე, ადვი-  
ლად შევამჩნევთ, რომ მერქანის ფერის შეცვლასთან  
ერთად, ის გამშრალია; თვით გამტარებელი მილები გა-  
მოცარიელებულია და სტოვებს საცრის ჟობეჭდილე-  
ბას. რასაც უბრალო თვალითაც ადვილად შევამჩნევთ.

დაზიანებული კვირტი ღებულობს რუხ-მოშავო  
ფერს. ძლიერი დაზიანების დროს ხელის შექებისას ად-  
ვილად მოვარდება და ამ შემთხვევაში თვით კვირტის  
საჯდომიც გაშავებულია. კვირტის დაზიანების შემ-  
თხვევები შემდეგნაირად შეიძლება დაიყოს:

1. მთავარი კვირტი მოშავო ფერისაა, კვირტსაჯდომი  
ში არ არის გაშავებული, მწვანეა აგრეთვე დამატებირცხული  
ანუ შემცვლელი კვირტებიც. ამ შემთხვევაში მოხატული  
ძირითადად დაღუპული უნდა ჩაითვალოს. დამატები-  
თი ანუ შემცვლელი კვირტებიდან მოგვიანებით განვი-  
თარდება უმთავრესად უნაყოფო ყლორტები.

2. მთავარი და დამატებითი კვირტები გაშავებულია.  
კვირტსაჯდომი მწვანეა; ამ შემთხვევაშიც კიდევ უფ-  
რო დაგვიანებით მოხდება უმეტესად უნაყოფო ერთე-  
ული ყლორტის განვითარება.

3. მთავარი და დამატებითი კვირტები და კვირტ-  
საჯდომი მთლიანად გაშავებულია; ამ შემთხვევაში არც  
მოსავალი, არც ყლორტების განვითარება მოსალოდნე-  
ლი არ არის.

ამ მხრით, თითოეული აჭრილი რქა უნდა შემოწმ-  
დეს ყველა კვირტის მიხედვით, რომ შესაძლებელი გახ-  
დეს კვირტების დაზიანების პროცენტებით გამოხატვა.

ვაზის სხვა ნაწილის დაზიანებაც შეიძლება იყოს  
მთლიანი ან ნაწილობრივი.

**გასხვლა.** ასეთი გამოკვლევის შემდეგ, მთელი ნაკ-  
ვეთი გასასხვლელად და დაზიანების მიხედვით დაიყო-  
ფა რამდენიმე ჯგუფად:

1. შრამბი, ვაზის სხვა ძველი ნაწილი და ერთწლი-  
ანი რქები უმნიშვნელოდ არის დაზიანებული. მთავარი  
კვირტები დაღუპულია მთლიანად, ნაწილობრივ გადა-  
რჩნილია დამატებითი კვირტები, უმთავრესად რქის  
საფუძველთან. ამ შემთხვევაში რქებს ვნეკავთ 2—3  
მუხლზე, იმ ვარაუდით, რომ რქის დამატებითი კვირ-  
ტებიდან და საკავებლის მძინარე კვირტებიდან ამოსუ-  
ლი ყლორტები შეავსებენ ვაზის მწვანე ზედაპირს და  
ნაწილობრივ შეიძლება მოსავალიც მივიღოთ. ამასთანა-

ვე მოსალოდნელია ზოგიერთ ვაზის ჭალში განვითარებული ულორტები არ გამოდგეს ვაზის შემდეგი წლისა—  
თვის ფორმის მისაცემად და მაშინ საჭირო იქნება და გადამდებარებული ვერდნოთ შტამპზე ამოსულ ყლორტებს.

2. შტამპი, ორ-და ერთწლიანი რქები უმნიშვნელოდ არის დაზიანებული, როგორც პირველ შემთხვევაში, კვირტები კი სანახევროდ დაღუპულია. ამ შემთხვევაში დაზიანებულ კვირტთა მდებარეობის მიხედვით, ე. ი. მდებარეობენ ისინი უმთავრესად რქის ზედა, შეა თუ ქვედა ნაწილში, ვაზს ცხვლავთ გრძლად ან მოკლედ, იმ გარაუდით, რომ დაკარგული კვირტები რაოდენობის მიხედვით აღდგენილი იქნას. მაგალითად, თუ გასხლვის დროს ნორმალურ პირობებში საჭიროა ვაზისათვის 12 კვირტის დატოვება და კვირტების დაზიანება კი უდრის 50%, ამ შემთხვევაში დაკარგულ კვირტების აღსაღვევად დასამატებელ კვირტების რაოდენობა 100%-ით უნდა იქნას გადიდებული, ე. ი. აღნიშნული ვაზი უნდა გაისხლას 24 კვირტის დატოვებით.

3. ერთწლიანი რქები მთლიანად, ხოლო შტამპი და ვაზის დანარჩენი ძველი ნაწილი ნაწილობრივ არის დაზიანებული. ამ შემთხვევაში ერთწლიანი რქები მთლიანად უნდა მოვაშოროთ. შეიძლება აგრეთვე მთლიანად მოვაშოროთ საკავებელიც, როცა მისი იმედი სრულებით არ გვაქვს. გაფურჩქვნას უნდა მიეჭის სერიოზული ყურადღება, თუ ამონაყარი შტამპზე ბევრია, ნორმალური მოსალოდნელია 1 — 2 წლის მემდევ-

4. შტამპი ნახევრამდის, ვაზის სხვა ძველი ნაწილები და ერთწლიანი რქები მთლიანად დაზიანებულია — ასეთ შემთხვევაში ვაზის ორწლიან რქებს მთლიანად ვაშორებთ. შტამპზე ამოსულ ყლორტებიდან გაფურჩქვნის დროს ვტოვებთ 3 — 4-ს, ისეთებს, რომელთაც

ეკეთესი მდებარეობა აქვთ და განვათარებულია ნამყენი  
ი აღგიღის ზემოთ. ნამყენ აღგიღიშე ამოსულ ყლორტები  
ეგბს ვაშორებთ.

5. როდესაც ვაზი თითქმის მთლიანად დაზიანებულია და მთლოდ საძირიდან ამონაყარის იმედი გვაჰვეს, მაშინ უნდა ვიზრუნოთ ვენახის ხელმეორედ გაშენებაზე.

## მფლანი ოპერაციები

მწვანე ოპერაციებს იმიტომ ვუწოდებთ, რომ ეს ა-  
მუშაო შეეხება ვაზის მწვანე ნაშილებს.

ასეთ სამუშაოს მიეკუთვნება:

1. გაფურჩქვნა ანუ ზედმეტი ყლორტების მოშორება,
2. ყლორტის წვეროების წაწყვეტა,
3. შემორგოლვა,
4. ნამხრევების შეცლა,
5. ყლორტის თავების გვიან გადაჭრა ანუ ცის გახსნა და სხვ.

გაფურჩქვნა. ეს სამუშაო, თავის დანიშნულების მიხედვით, წარმოაგენს ზამთრის სხვლის გაგრძელებას. გაფურჩქვნით უნდა გამოვასწოროთ ის არასასურველი მდგომარეობა, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს, როგორც თვით მსხვლელის დანაშაულობით, ისე მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამოც; როგორც, მაგალითად, სხვლის დროს დატოვებული ზოგიერთი კვირტის განუვითარებლობა ან განვითარების შემდეგ მისი დალუბვა რაიმე მიზეზით. ამგვარად, გაფურჩქვნა არის ზამთრის სხვლის დამასრულებელი ოპერაცია, და ის შემდეგ მიზანს ემსახურება:

1. გაფურჩქვნით, ისე როგორც გასხვლით, ხელს  
უშესაბამი თითოეული ვაზის თანაბრად და ნორმალუ-  
რად განვითარებას.



2. გაფურჩქვნით ვამზადებთ საუკეთესო მასალას  
შემდეგი წლის სხვლისათვის, სანაყოფოსა და სამამულეს  
სახით, რომელთაც კვებისა და აღზრდის მხრით ვაყე-  
ნებთ განსაკუთრებულ პირობებში.

3. გაფურჩქვნით ვაზის მოსავლით და-  
ტვირთვას. გაფურჩქვნა მოითხოვს დიდ ცოდნასა და  
გამოცდილებას, რათა სწორად განვსაზღვროთ, თუ რო-  
მელი ნაწილის მოშორება შეიძლება უმტკივნეულოდ ვა-  
ზის შემდგომი ცხოვრებისათვის. ამიტომ ვაზი უნდა  
გაფურჩქვნოს ისეთმა მუშამ, რომელიც კარგად იცნობს  
გასხვლის საფუძვლებს. არაწესიერი და უდროოდ გა-  
ფურჩქვნით შეიძლება ხელი შევუწყოთ ვაზის დასუსტე-  
ბას და, პირიქით, თავის დროზე და წესიერი გაფურ-  
ჩქვნით შეგვიძლია უზრუნველყოთ ვაზის ნორმალური  
ზრდა და მოსავლიანობა. ამ ოპერაციის დაგვიანება და-  
შასუსტებლად მოქმედებს ვაზის ცხოვრებაზე, რადგან  
ნორჩი ყლორტი და ფოთოლი საზრდოობს დასრულე-  
ბულ ყლორტისა და ფოთოლის ხარჯზე და იმ საზრდო  
მასალით, რომელიც მცენარის ორგანიზმშია დაგრო-  
ვილი. რამდენად ადრე გავფურჩქვნით ვაზს, იმდენად  
ნაკლებ საზრდოს დაკარგავს ის; ყლორტის მოცილებით  
შიენებული ჭრილობა ადვილად ხორცდება და დატო-  
ვებული ყლორტები უფრო თამამად ვითარდება.

რადგან გაფურჩქვნის ძირითადი დანიშნულება არის  
ვენახის ნორმალური მოსავლის მიღება, ამიტომ მისი  
ჩატარება უმჯობესია მაშინ, როდესაც ყლორტების სი-  
გრძე მიაღწევს 10—20 სმ. ეს დაახლოებით, ის მდგო-




ଶ୍ରୀ. 9.

მარეობაა, როდესაც ადვილად შეიძლება ნაყოფის  
და უნაყოფო ყლორტების გარჩევა.

საქონლები  
უსაყიდები

შეელა შემთხვევაში არ არის საჭირო უნაყოფო  
ყლორტის მოშორება. ვაზს ესაჭიროება ფოთლების გან-  
საზღვრული რაოდენობა. მცენარის მწვანე ზედაპირი  
არის ის ლაბორატორია, საღაც გადამუშავდებიან ხოლ-  
მე ნიადაგიდან მიღებული მინერალური ნივთიერებანი  
და ლებულობენ მცენარისათვის შესათვისებელ ფორმის.  
როგორც აღამიანს არ შეუძლია სიცოცხლე საჭმლის  
მომნელებელი ორგანოების გარეშე, ისე მცენარესაც არ  
შეუძლია უფოთლოთ არსებობა. ამიტომ მწვანე ზედა-  
პირის შემცირებას ყოველთვის განსაკუთრებული სი-  
ფრთხილით უნდა ვაწარმოებდეთ. საერთოდ, ვაზის გა-  
სხვლის დროს, არასაკმაო რაოდენობის კვირტების და-  
ტოვება და უწესოდ ჭრილობების მიყენება ვაზის ძველ  
ნაწილზე იწვევს ბევრ ამონაყარს. სურათი მე-9 წარ-  
მოადგენს ვაზს გაფურჩქვნამდის. ბევრი ამონაყარი ამ  
ვაზს აქვს სწორედ იმ ადგილას, საღაც თავმოყრილია  
წინა წლების გასხლვის დროს მიყენებული ჭრილობები.  
ვაზისათვის სათანადო ფორმის შესანარჩუნებლად ნეკის  
ყლორტებს ქვემოთ მდებარე ყლორტები უნდა მოვაშო-  
თოთ, რაღაც ისინი ხელს უშლის სამამულე და სა-  
ნაყოფე ყლორტების განვითარებას. შტამპზე ყლორტის  
დატოვება ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა, მაგალითად,  
როდესაც ვაზის შტამპის დაღაბლება აუცილებლობას  
წარმოადგენს, ამ საშუალებას უკიდურეს შემთხვევაში  
უნდა მივმართოთ. ამისათვის ან ხელოვნურად გამოვიწ-  
ვევთ ასეთი ყლორტის განვითარებას შტამპზე სათანა-  
დო ჭრილობის მიყენებით, ანდა არსებულ ყლორტები-  
დან ამოვირჩევთ ისეთს, რომელსაც უკეთესი მდებარე-  
ობა აქვს.



სურ. 10.

სახელი:

მუსიკურის სახელი:

## გაფურჩქვნის შემდეგ ვაზი მიიღებს შემდეგ სახელი: (სურ. 10).

მაშასადამე, გაფურჩქვნის დროს მოშორდა ჟეფენის  
ქვემოთ ამოსული ყლორტები და ამავე დროს, ნეკის  
ქვემოდან მესამე ყლორტი. დატოვებულ ყლორტებს  
საუკეთესო მდებარეობა უჭირავთ მომავალი წლისა-  
თვის ვაზის ფორმისათვის საჭირო მასალის მისაღებად.  
მაგრამ მოსალოდნელი იყო მთელი რიგი გადახრე-  
ბისა ყლორტების განვითარებასთან დაკავშირებით:

**I შემთხვევა.** როგორც სურ. მე-9-დან ჩანს, ნეკზე  
ყოფილა დატოვებული სამი კვირტი და სამივედან გან-  
ვითარებულა ყლორტები. დაფუშვათ, განვითარებული-  
ყო მხოლოდ პირველი ყლორტი ქვემოდან. გამფურჩქვ-  
ნელმა უნდა წარმოიდგინოს მომავალი წლის გასხვლა,  
რომ აღნიშნული ყლორტი საუკეთესო იქნება მომავალი  
წლის ნეკად. სანაყოფებს საკითხი აღვილი გადასაწყვი-  
ტია თვით გასხვლის დროსაც.

**II შემთხვევა.** განვითარდა ნეკის პირველი და მესამე  
კვირტი. ე. ი. არ განვითარდა ის ყლორტი, რომელიც  
მიმდინარე წელში სანაყოფებს უნდა ყოფილიყო. ამ  
შემთხვევაშიც ადვილია საკითხის გადაჭრა. სანაყოფებ  
მეორე ყლორტს მესამე შეცვლის; ნეკად, ცხადია, პირ-  
ველი დარჩება.

**III შემთხვევა,** როდესაც მხოლოდ მეორე ყლორტი  
განვითარდა.

**IV შემთხვევა,** როდესაც მხოლოდ მესამე ყლორტი  
განვითარდა.

**V შემთხვევა,** როდესაც განვითარდა მეორე და მესა-  
მე ყლორტი.

**VI შემთხვევა,** როდესაც ნეკზე არცერთი ყლორტი  
არ განვითარდა.

უკანასკნელ ოთხ შემთხვევაში უმჯობესია წევა /  
მთლიანად მოვაშოროთ აღნიშნული ვაზის აგებულებისას ასე კი და სამამულე და სანაყოფე ყლორტები საკა-  
ვებელზე გადავიტანოთ. სამამულედ — პირველი ქვევი-  
დან და სანაყოფედ — მეორე. ამ ყლორტების ამორჩევა  
უცავს ჭრილობების ცალმხრივობის პრინციპს მომავა-  
ლი წლის გასხლვისათვის. მაგრამ საკიროა გაფურჩქვნა  
უფრო აღრე ჩატარდეს. სურათზე ნაჩვენები ვაზების  
გაფურჩქვნა ცოტათი დაგვიანებულია.

დაბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ უწესოდ ჩატარე-  
ბულ გაფურჩქვნას მოსდევს ისეთივე შედეგები, როგო-  
რიც უწესო გასხვლას.

ულორტის წვეროების წაწყვეტა და შემორგოლვა. სა-  
ერთოდ, მწვანე ოპერაციებიდან მეცნიახეობის პრაქტი-  
კაში ფართოდ არის გავრცელებული მხოლოდ გაფურ-  
ჩქვნა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენს  
გასხვლის დამატებით ოპერაციას, ნამხრევების შეცლა  
და ყლორტების წვეროების წაჭრა ანუ, როგორც მას  
უწოდებენ, „ცის გახსნა“. მაგრამ ნაკლებად არის გა-  
მოყენებული ისეთი ოპერაციები, რომლებიც მიმართუ-  
ლია მტევნის გათხელების წინააღმდევ საბრძოლველად,  
ამას კი ზოგიერთი ჯიშისათვის, არსებული პირობების  
მიხედვით, უაღრესად დიდი პრაჭრიკული მნიშვნელობა  
აქვს.

ვაზის ყვავილობაზე დაკვირვებიდან ვიცით, რომ  
მტევანზე მარცვალი გაცილებით ნაკლებია ყვავილების  
რაოდენობასთან შედარებით, რადგან ბევრ შემთხვევაში  
უმეტესი ნაწილი ყვავილებისა (და ზოგიერთ შემთხვევაში  
მარცვლების სახითაც) ყვავილობის დროს ცვივა.

აღნიშნულ მოვლენის კიდევ უფრო თვალსაჩინოები-  
სათვის ქვემოთ მოვიყვანთ ანაპის მეცნიახეობის საც-

დელ სადგურის ცხრილს, პროფ. ა. ს. მერქანიანის  შაიბის მიხედვით (იხ. ცხ. 44 გვ.).

ქვემოთმოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ ტრამიზული გარდა, ყველა დანარჩენ ჯიშს უკვე ნორმალურად სცვივა ყვავილები დიდი რაოდენობით. რისლინგი, პინო-ნაცრისფერი და პინო-შავი უკეთეს შემთხვევაში, ქუმში მტევნის მიღების დროსაც კარგავს ყვავილს თითქმის ნახევრამდის; ალიგოტე და სოენიონი —  $\frac{1}{3}$ -მდის, მსხვილმარცვალა ჯიშები: ელიზავეტპოლისა და ალბურლაკი —  $\frac{3}{4}$ -ს ყვავილთა საერთო რაოდენობიდან.

ამნაირად, ყვავილთცვენა ვაზისათვის ნორმალურ მოვლენას წარმოადგენს, რადგან ყვავილები ყოველთვის შეტია მარცვალთა საჭირო რაოდენობასთან შედარებით, თუ გრძელ ქუმში მტევნების მისაღებ დროსაც. ამიტომ ნაწილი ყვავილებისა ბუნებრივად უნდა ჩამოცვიდეს, რაც მტევნის ნორმალურ აგებულებაზე და, მაშასადამე, მოსავალზეც, უარყოფით გავლენას არ მოახდენს.

ჩვეულებრივ ყვავილთცვენიდან ანორმალური ყვავილთცვენა მხოლოდ რაოდენობრივად განიჩრჩეა და, ზოგიერთ შემთხვევაში ის იმდენად დიდია, რომ იქცევა აშეარად მავნე მოვლენად, რომელიც ამცირებს მოსავლიანობას. ამ შემთხვევაში, ყვავილთცვენის შესამცირებლად საჭიროა სპეციალური საბრძოლო ღონისძიების გამომუშავება, რისთვისაც წინასწარ შესწავლილ უნდა იქნას ჯიშების მიხედვით ყვავილთცვენის ხასიათი და მისი გამომწვევი მიზეზები. კვლევითი მუშაობამ გამოარკვია, რომ ისეთ ჯიშებს, რომლებსაც მკვრივი მტევნი ახასიათებს, უმეტეს შემთხვევაში მათი მარცვლების რაოდენობა თავდაპირველ ყვავილთა საერთო რაოდენობიდან არ აღემატება 40—50%-ს და ამნაირად,

N.N. နေရပ်	မြို့ချို့၊ ဒေသနည်းလုပ်	မြန်မာနိုင်ငြာန ပါရိုက် လုပ် နှောက်နှစ်ဆုံး ပေးပို့နှစ်		နေရပ်နှင့် ပါရိုက် ပါရိုက် နှောက်နှစ်ဆုံး ပေးပို့နှစ်		ပါရိုက် နှောက်နှစ်ဆုံး ပါရိုက် နှောက်နှစ်ဆုံး ပေးပို့နှစ်	
		ပါရိုက်	ပါရိုက်	ပါရိုက်	ပါရိုက်	ပါရိုက်	ပါရိုက်
1	ရန်-ဇူနိုင်	389	112	28	196	48	
2	ရန်-ပြည်နယ်	269	98	34	145	58	
3	အလွန်တို့	272	128	47	180	66	
4	ခုခားအိုင်း	153	107	69	152	95	
5	ဒုလိသဓာတ္ထပဲလွှာ	415	53	13	78	19	
6	ဓရနုဂ္ဂလာမာစီ	363	67	18	129	35	
7	ပေါ်ဖျော်	695	145	21	229	33	
8	အလွန်လွှာ	867	121	14	171	20	
9	ပြည်နယ်	234	58	25	150	68	
	ပါန်-နှောက်လျှောက်	196	66	33	80	41	
	ပါန်-ဦးဇွဲ	198	58	29	103	52	

აღნიშნულ ჯიშებისათვის 40—50%-ის ფარგლებში ყვა-  
ვილთცვენა მტევნის საბოლოო ხარისხს არ შეამცირებს.

ზოგიერთი ჯიში, რომელსაც ნორმალური სიმკერვა გვის მტევნი ახასიათებს, ყვავილების მცირე ნაწილის მარცვლად გამონასკვის შემთხვევაშიც, იძლევა შედარებით ქუმს მტევნანს.

თუ ზოგიერთი ჯიშისათვის 60—80%-ით ყვავილთცვენა მოსავლიანობას არ ამცირებს, სხვა ჯიშისათვის 30—40%-ით ყვავილთცვენა საგრძნობ გავლენას ანდენს მოსავლიანობის რაოდენობაზე. ყვავილთცვენის ანორმალური მიმდინარეობის დამახასიათებელი ნიშანი არის თვით მტევნის სითხელე; ასეთი ჯიშები კი მრავლად არსებობს.

მევენახეობის კვლევითი ინსტიტუტის აგროტექნიკური განყოფილება ოთხი წლის განმავლობაში აწარმოებდა მუშაობას ღონისძიებათა გამოსამუშავებლად გადაჭარბებული ყვავილთცვენის წინააღმდეგ საბრძოლელად. გამოიჩინა, რომ მაღალხარისხოვანი ჯიში საფერავი, რომელსაც ჩვეულებრივად ახასიათებს დატოტვილი, თხელი და არასრული მტევნი, ხასიათდება გადაჭარბებული ყვავილთცვენით. ხშირია შემთხვევა, როდენაც აღნიშნული ჯიშის ყვავილთცვენა უდრის 70—80% და კიდევ მეტს, ეს კი იწვევს მოსავლიანობის საგრძნობ შემცირებას.

საერთოდ, ასეთი არასასურველი მოვლენის ძირითადი მიზეზებია:

1. ყვავილთა ანორმალური აგებულება, მაგ., მხოლოდ მდედრობითი სქესის ყვავილები.

2. ყვავილობის ღრაოს არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები, როგორიც არის: დაბალი ტემპერატურა, ხანგრძლივი წვიმები და სხვა.

3. ფიზიოლოგიური ხასიათის მიზეზები, რომლებიც  
ხასიათდება მტევნებისადმი არასაკმაო რაოდენობის შემცირების  
კვები მასალის მიწოდებით.

ყვავილთა ნორმალური აგებულობის ჯიშების ჭარბი  
ყვავილთცვენა. ძირითადად გამოწვეულია ფიზიოლო-  
გიური ხასიათის მიზეზებით. ე. ი. მტევნებისადმი არა-  
საკმაო რაოდენობის საკვები მასალის მიწოდებით. ასეთ  
ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის უმთავრესი ნაწილი, როგორც  
ეროვნულ ჯიშებისა, ისე ადგილობრივიც: საფერავა,  
რქაწითელი, მწვანე, ციცქა, ცოლიკაური, კრახუნა,  
ალექსანდრეული და სხვა.

მცენარის ზრდასთან და კვებასთან დაკავშირებულ  
საკითხების შესწავლიდან ვიცით, რომ ფესვთა სისტემი-  
დან მიწოდებული საკვები ნივთიერების ნედლი მასალა  
აღმავალი დენით მიღის ფოთლებში გადასამუშავებლად.  
ფოთლებში გადამუშავების შემდეგ მცენარისათვის გა-  
მოსაყენებელი საკვები ნივთიერებანი დაღმავალი დე-  
ნით ნაწილდებიან სხვადასხვა ორგანოში. მცენარისა-  
თვის უშუალოდ გამოსაყენებელ საკვებ ნივთიერებათა  
გამტარებელი მიღები მოთავსებულია მერქანსა და კანს  
შორის.

დაზის თამამი ზრდის დროს ფოთლების მიერ გა-  
დამუშავებული საკეებ ნივთიერებათა უშეტესი ნაწილი  
იხარჯება ყლორტების ზრდაზე და ფესვთა სისტემის  
გაძლიერებისათვის; მათი მცირე რაოდენობა მიღის მხო-  
ლოდ მტევნებში.

ამ ფიზიოლოგიურ კანონებთან დაკავშირებით,  
ანორმალურ ყვავილთცვენის წინააღმდეგ საბრძოლვე-  
ლი საშუალება მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ  
ყვავილობის პერიოდში დროებით შევამციროთ საკვებ  
ნივთიერებათა ხარჯვა ზრდაზე და ამით გავადიდოთ

მათი მიწოდება მტევნებისადმი; ამას კი შეიძლება მრავალშოთ ყლორტის წვეროების წაწყვეტითა და შემორგოლვით.

რაში მდგომარეობს მათი ფიზიოლოგიური მნიშვნელობა? ყლორტის ნორჩი ნაწილი ატარებს ერთგვარ ჰარაზიტულ ცხოვრებას. ის უმთავრესად არსებობს ყლორტის დასრულებულ ნაწილის ხარჯზე; ის ზრდისათვის - მეტს ხარჯავს, ვიდრე ქმნის. ამიტომ ყლორტის წვეროების წაწყვეტით დიდდება საკვები ნივთიერების მარაგი მტევნებისათვის, რითაც მარცვალთა რაოდენობა მტევნებზე მატულობს და ამით დიდდება თვით საერთო მოსავალიც.

შემორგოლვით კი დროებით ვაჩერებთ საკვები მასალის დენას ფესვთა სისტემისაკენ და ამით ვაუმჯობესებთ მტევნის კვების პირობებს, რითაც ვდებულობთ იმავე შედეგს, როგორსაც პირველ შემთხვევაში. აღნიშნულ ოპერაციებს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. შემორგოლვის შესახებ ლაპარაკი იყო ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც მალპიგიმ დაიწყო მცენარის ორგანიზმში ალმავალ და დაღმავალ დენათა შესწავლა. შემდეგ მრავალი მცვლევარი მუშაობდა აღნიშნული საკითხის შესასწავლად. ძველი სკოლის მეცნიერებიდან საინტერესო მუშაობა აქვთ ჩატარებული ვრალასა და რაბოს, რომელნიც მიუთითებდენ ყლორტის წვეროების წაწყვეტის მთელ რიგ დადებით მხარეებზე.

ყლორტის წვეროების წაწყვეტით საინტერესო შედეგები მიიღო მელნიკმა ადესის მეცნახეობის საცდელ სადგურში. ის ამბობს, რომ ყლორტის წვეროების წაწყვეტა, ყვავილობის დაწყებამდის, აჩქარებს ყვავილობის დაწყებას, მიუხედავად ვაზის ფორმისა და ჯიშისა, ამცირებს ყვავილობურებას და ხევა.

ასევე შეიძლება ითქვას შემორგოლვის შესახებაც.  
არსებობს ისეთი ჯიშები, რომლებიდანაც ნორმალური  
მოსავალს ღებულობენ მხოლოდ შემორგოლვით.

მაგრამ მკვლევართა და პრაქტიკოსთა შორის აღნიშ-  
ნულ ღონისძიებათა პრაქტიკულად გამოყენების საქმე-  
ში გამეფებულია აზრთა სხვადასხვაობა.

მევენახეობის პრაქტიკაში მწვანე ოპერაციებს, რო-  
გორც ყვავილთცვენის საწინააღმდევო საშუალებას, ნაკ-  
ლებად იყენებენ, ხოლო იქ, სადაც მას მიმართავენ, მისი  
შესრულება ხდება არაწესირად, უდროოდ, სულ სხვა  
მიზანდასახულობით და არა ყვავილთცვენასთან დაკავ-  
შირებით.

გადაჭარბებულ ყვავილთცვენის წინააღმდევ რაციო-  
ნალური მეთოდის გამოსამუშავებლად მევენახეობა-მე-  
ლვინეობის საკავშირო (ამჟამად ა/კავკ.) ქვლევითი  
ინსტიტუტის აგროტექნიკურმა განყოფილებამ დაიწყო  
მწვანე ოპერაციების შესწავლა 1931 წელს.

ცდების წარმოების ღროს გამოსაცდელად აღებული  
იყო შემდეგი სახის ოპერაციები ანუ ვარიანტები:

1. ყლორტის წვეროების წაწყვეტა,
2. შემორგოლვა,
3. შემოსერვა,
4. საკონტროლო.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ გამოსაცდელად  
აღებული იყო მევენახეობაში აქამდის გამოუცდელი  
ღონისძიება — შემოსერვა, რომელიც წარმოადგენს ჩვე-  
ულებრივ შემორგოლვის სახესხვაობას, იმ განსხვავე-  
ბით, რომ შემორგოლვის ღროს, ორმაგი პარალელური  
შემოსერვით ხდება განსაზღვრული სიგანით კანის მო-  
ცილება, შემოსერვის ღროს კი არ ხდება კანის მოცი-

ლება, ერთმაგი გარს შემოყოლებული შემოსერვდა  
კეთდება უბრალო რგოლი.

ამ ოპერაციის გამოცდის დროს მხედველობაში მიღწეული  
მიღწეული შემდეგი გარემოება: ლიტერატურული წყა-  
როებისა და დაკვირვების მიხედვით, ჩვეულებრივი შე-  
მორგოლვისას, — ჭრილობის შეხორცებას ხენგრძლივი  
დრო სჭირდება, რაც იწვევს ფეხვთა სისტემისათვის სა-  
კვები მასალის მიწოდების დიდი დროით შეწყვეტას. ეს  
კი ვაზზე დამასუსტებლად მოქმედებს. შემოსერვა კი არ  
აყენებს ვაზს დიდ ჭრილობას; ის მოკლე წნით იწვევს  
საკვები მასალის დენის შეჩერებას ფეხვთა სისტემისა-  
კენ; 12—15 დღის განმავლობაში ისევ აღდგება წვენის  
ნორმალური მოძრაობა.

1931 წელს ცდა წარმოებდა ორ ჯიშზე — საფერავ-  
ზე და რქაწითელზე დუ-ლოს საძირებზე; მაშასადამე,  
საძირეც ხელს უწყობდა ყვავილთცვენას.

ოპერაციების ჩატარების ტაქნიკა. ყლორტის წვერო-  
ების წაწყვეტა სდებოლა საკავებლის ყლორტებზე; ნე-  
კისაზე კი არა. იმ შემთხვევაში, თუ ვაზს ნეკი არ ჰქონ-  
და, სამაგიერო ჩქებს წვეროების წაუწყვეტლად ვტო-  
ვებდით საკავებელზე. ყლორტის წვეროების წაწყვეტა  
ხდებოდა იმ ვარაუდით, რომ ზედა მტევნის ზემოთ დარ-  
ჩნილიყო 5—6 ფოთოლი.

შემორგოლვა და შემოსერვა ხდებოდა საკავებელ-  
ზე იმ ვარაუდით, რომ სამამულე და სანაყოფე ყლორ-  
ტები მათი გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყო. დასახელე-  
ბული ოპერაციები ჩატარდა ყვავილობის დაწყების პე-  
რიოდში.

აღრიცხვის ობიექტებად აღებული იყო:

1. ყვავილთა თაფდაპირველი რაოდენობა თანაყვა-  
ნოლზე ანუ მტევანზე,

2. ყვავილობის დროს დაცვენილ ყვავილთა რაოდენობა,

3. გამონასკულ მარცვალთა რაოდენობა,
4. მტევნის საშუალო წონა,
5. მარცვლის საშუალო წონა,
6. შაქრიანობა და სიმჟავე.

აღრიცხვის პირველი ორი იბიექტის ტექნიკურად შესრულება ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს იმ მხრივ, რომ ყვავილების დათვლა მტევანზე ძნელია; ამ სამუშაოს სხვაზე მინდობა საეჭვო საქმეა; ამასთანავე, დათვლის დროს მტევანიც ბევრ შემთხვევაში საკმაოდ ზიანდება; ამიტომ დასახულ აღრიცხვის უფრო ზუსტად შესრულებისათვის სააღრიცხვო მტევნები წინასწარ მოთავსდა პერგამენტის ქაღალდის პარკებში. ყვავილობის დროს დაცვენილი ყვავილები პარკებში გროვდებოდა, მათი აღრიცხვა უკვე აღვილი საქმე იყო. ამასთანავე ადვილდებოდა გამორკვევა ყვავილთცენამდის ყვავილთა საერთო რაოდენობისა, რაც უდრის დაცვენილ ყვავილთა და გამონასკულ მარცვალთა რაოდენობის ჯამს.

აღრიცხვის ჩატარებამ გვიჩვენა, რომ ყველა აღებულმა ვარიანტმა მოგვცა მარცვლის რაოდენობის გადიდება მტევანზე. აი, მაგალ., საფერავის მარცვლის რაოდენობა მტევანზე  $\%$  -ით ყვავილთა საერთო რაოდენობიდან: საკონტროლოსათვის — 27 %;

ყლორტის წვეროების ნაწყვეტის დროს — 38 %;

შემოსერვის დროს — 31 %;

შემორგოლვის დროს — 50 %;

მტევნის წონა გრამებში: — (იხ. ცხ. 51 გვ.).

რაც შეეხება პროდუქციის ხარისხს, ყლორტის წვეროების წაწყვეტამ მოგვცა ცოტათი შაქრიანობის დაკ-

	საფერავი	რქაწითელი
საკონტროლო . . . . .	134	181
შემოსერვა . . . . .	165	196
შემორგოლვა . . . . .	173	242
ყლორტის წევროვნების წაწყვეტა . . .	189	246

ლება, რაც წარმოებისათვის უმნიშვნელოა. შემოსერვამ კი შაქრიანობის ცოტათი მომატებაც მოგვცა.

1932 წელს აღნიშნულ ოპერაციებზე ცდა ორ ადგილას იქნა დაყენებული, ერთი ურიათუბნის საცდელ საღვრის ტერიტორიაზე და მეორე ზეგანის საბჭოთა მეურნეობაში. ურიათუბანის საცდელ საღვრებზე ცდა წარმოებდა რქაწითელის ჯიშზე; ზეგანის საბჭოთა მეურნეობაში კი — საფერავზე. რქაწითელის მოსავლიანობაზე აღნიშნული ოპერაციების მოქმედება შემდეგ სურათს იძლევა:

შემოსერვა საკავებელზე რქაწითელის ჯიშის მოსავლიანობას აღიდებს 16 %-ით,

ყლორტის წვეროების წაწყვეტა — 18 %-ით;

საკავებელზე შემორგოლვა — 29 %-ით.

ზეგანის საბჭოთა მეურნეობაში ცდა მწვანე ოპერაციებზე წარმოებდა დიდ ნაკვეთებზე, მათი წარმოების პირობებში გამოსაცდელად. აღებული იყო ოთხი განმეორება, ე. ი. თითოეული სახის ოპერაციისათვის გამოყოფილი იყო ოთხი ნაკვეთი.

ცდის შედეგების აღრიცხვის მასალები მოცემულია ქვემოთმოყვანილ ცხრილში:

როგორც ქვემომოყვანილ ცხრილიდან ჩანს გამოსაცდელად აღებულმა ყველა სახის ოპერაციაში გამოიწვია

ოპერაციის დასახელება	მოსავალი კ-ით ჰექტარიდან	მოსავლის უძრავი დანართი %/%-ით
1. საკონტროლო . . . . .	3364	100
2. შემოსერვა . . . . .	4008	1 9
3. ყლორტის წვეროების წაწყვეტა . . . . .	4363	129
4. შემორგოლვა . . . . .	4509	134

მოსავლიანობის გადიდება საკონტროლოსთან შედარებით.

1933 წელს ივნივე ცდები გამეორდა ნაფარეულის უაბჭოთა მეურნეობის პირობებში. ცდა წარმოებდა საფერავის ჯიშზე, შედარებით დიდ ფართობზე. საცდელი ნაკვეთის თითოეული დანაყოფი უდრიდა 800 კვ. მეტრს. ცდა ხდებოდა შვიდ განმეორებათ, ე. ი. თითოეული ოპერაცია, გარდა შემორგოლვისა, გამოსაცდელად აღებული იყო შვიდ ნაკვეთზე (ვარიანტის ნაკვეთი); შემორგოლვა მხოლოდ ოთხ განმეორებაში ღებულობდა მონაწილეობას.

ცდის შედეგები მოცემულია ქვემოთმოცვანილ ცხრილში: (იხ. 53 გვ.).

როგორც ცხრილში მოცემულ მასალებიდან ჩანს, გამოსაცდელად აღებული ზველა ოპერაცია იწვევს მოსაფლიანობის გადიდებას. განსაკუთრებით საგრძნობლად აღიდებს მოსავალს ყლორტის წვეროების წაწყვეტა (30%-ით).

კარგ შედეგს იძლევა აგრეთვე შემოსერვა.

მოსავლიანობის გადიდების შეფასებას თუ მტევნის საშუალო წონის ცვალებადობის მიხედვით მოვახდენ,

სეზონი	ოპერაციის დასახელება	მოსავალი	მოსავალი	მოტივის საწუალი	მოტივის განმარტინი	საწუალი	შედეგი
1.	შემორგოლვა საკავებელზე	406	182	1,028	1,028	108	108
2.	შემოსერვა საკავებელზე .	433	175	1,171	1,171	111	111
3.	ყლორტის წვროების წაწყვეტა . . . . .	508	195	1,202	1,202	130	130
4.	საკონტროლო . . . . .	389	149	1,159	1,159	100	100

მაშინ შემოსერვა მოსავლიანობას აღიდებს 17%-ით; შემორგოლვა — 22%-ით და ყლორტის წვეროების წაწყვეტა — 31%-ით.

1934 წელს ნაფარეულის და ზეგნის საბჭოთა მეურნეობებში იმავე ნაკვეთებზე განმეორებით მოხდა აღნიშნული ხასიათის ცდები, მაგრამ ორივე მეურნეობის ძლიერი დასეტყვის გამო ცდის შედეგების აღრიცვა დაკარგა ყოველი აზრი.

იმავე წელს თვით ინსტიტუტის ნაკვეთზე ჩატარდა უფრო ზუსტი ცდები აღნიშნული ოპერაციების შესახებ იმ მიზნით, რომ მოსავლის რაოდენობაზე და ხარისხზე მათი გავლენის გარდა, გამოვეკვლია შესრულების საუკეთესო დრო და წესები. გამოსაცდელად აღებული იყო შემდეგი ვარიანტები:

1. ყლორტის ზრდის წერტილის მოშორება ყვავილობამდის (ათი დღით ადრე ყვავილობის დაწყებამდი);



2. ყლორტის ზრდის წერტილის მოშორება ყვავილობის დასაწყისში;
3. ყლორტის წვეროების წაწყვეტა ყვავილობამდებარებისა;
4. ყლორტის წვეროების წაწყვეტა ყვავილობის დასაწყისში;
5. ყლორტის წაჭრა ზეჯა მტევნის ზემოთ, ორი ფოთლის დატოვებით, ყვავილობამდის;
6. იგივე ყვავილობის დასაწყისში;
7. შემორგოლვა ყვავილობამდის;
8. შემორგოლვა ყვავილობის დასაწყისში;
9. შემოსერვა ყვავილობამდის;
10. შემოსერვა ყვავილობის დასაწყისში;
11. ყლორტის ზრდის წერტილის მოშორება, შემოსერვის მიმატებით, ყვავილობამდის;
12. იგივე ყვავილობის დასაწყისში;
13. საკონტროლო.

ცდის შედეგები მოცემულია თანდართულ ცხრილში.  
(იხ. ცხ. 55 გვ.).


როგორც ცხრილში მოცემული მასალებიდან ჩანს, ყველა გამოცდილი ოპერაცია იწვევს მარცვალთა რაოდენობის გადიდებას საკონტროლოსთან შედარებით. ზოგიერთ ოპერაციის გამოცდა გვიჩვენებს მარცვალთა რაოდენობის ორჯერ გადიდებას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამიდან ნათელია, რომ შემორგოლვა ყვავილობის დასაწყისში იწვევს მარცვალთა რაოდენობის გადიდებას, აღნიშნულ შემთხვევაში, 107 %; დაახლოებით ასეთივე შედეგს იძლევა ყლორტის ზრდის წერტილის მოშორება შემოსერვის მიმატებით. ეს ოპერაცია გვაძლევს 104 % -ით მომატებას საკონტროლოსთან შედარებით.

ცდის დარღვევების დასახელება

	ცდის დარღვევების დასახელება	მიმღებელი	მიმღებელის დასახელება	მიმღებელის მდგრადი კულტურის მიმღებელი	მიმღებელის მდგრადი კულტურის მიმღებელის დასახელება						
1	ყლ რძ ცის ზრდის წერტილის მიმღებება ყვაველობამდების . . . . .	88	1,40	207,7	18,6	13,5					
2	იყვავ ყვაველობის დასაწყისში . . . . .	43	1,50	232,7	18,1	12,9					
3	კლიმტის წერტილის წ. წმინდა ყვაველობამდების . . . . .	39	1,55	190,1	18,1	13,1					
4	იყვავ ყვაველობის დასაწყისში . . . . .	41	1,38	202,3	17,7	13,3					
5	ყვავტეტის წაჭახა ზედა მძურის სექტორ, ისი კუთხის და- ტოლებით, ყვაველობამდების . . . . .	42	1,21	179,2	18,8	12,8					
6	იყვავ ყვაველობის დასაწყისში . . . . .	29	1,80	240,7	18,3	13,4					
7	შემოსტოლება ყვაველობამდების . . . . .	51	1,15	201,8	18,1	12,6					
8	შემოსტოლება ყვაველობის დასაწყისში . . . . .	58	1,38	170,0	18,3	13,1					
9	შემოსტოლება ყვაველობამდების . . . . .	33	1,39	172,6	18,5	11,9					
10	შემ საქრიდა ყვაველობის დასაწყისში . . . . .	50	1,47	196,3	18,3	13,0					
11	ყლორტეტის ზრდის წერტილის მიმღებება, შემოსტოლის მიმ- ღებით, ყვაველობამდების . . . . .	46	1,29	201,5	18,5	12,0					
12	იყვავ ყვაველობის დასაწყისში . . . . .	55	1,22	210,2	18,3	12,4					
13	საკონტროლო . . . . .	27	1,16	172,5	19,0	12,0					

საგრძნობლად აღიდებს მარცვალთა რაოდენობას  
რეთვე შემოსერვა და ყლორტის წვეროების წაწყვეტილობა  
მარცვალის საშუალო წონის მიხედვითაც, ც დან  
დან აშკარად ჩანს ყველა ოპერაციის უპირატესობა, გარ-



სურ. 11.

და შემორგოლებისა, რომლის დროს ხდება ბევრი პარო-  
ნოეარსული (წვრილი, უთესლო) მარცვლების განვითარება.

მარცვლის რაოდენობისა და მისი საშუალო წონის  
გადიდებით აისხება საერთო მოსავლიანობის გადიდება.  
რაც შეეხება პროდუქციის ხარისხს, ამ შემთხვევა  
შიაც დიდი ცვალებადობა არ ემჩნევა; საერთოდ, ისე-  
თივე მდგომარეობაა, როგორიც ყველა იმ ღონისძიების  
გატარების დროს, რომლებიც იწვევს მოსავლიანობის  
გადიდებას.

წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში საფერავიდან მი-  
ღებული ტკბილის გამოკვლევამ გვიჩვენა შემდეგი:

ოპერაციის დასახელება	ჩვენება ბოჭეთი	სიმჭვავე
1. მშვენიერების გამოუყენებელი . . .	13,9	9,8%
2. ყლორტის წვერების წაწყვეტა . . . .	13,3	10,5%
3. შემოსერვა საკავებელზე . . . . .	13,5	9,9%

ოთხი წლის დაკვირვების საფუძველზე, როგორც  
წარმოების, ისე საველე-ლაბორატორიულ პირობებში,  
გამოირკვა, რომ ყლორტის წვერების წაწყვეტა საფე-  
რავის ჯიშის მიმართ იწვევს მოსავლიანობის გადიდებას  
33%-ით; შემოსერვა საკავებელზე — 24% ით; შემო-  
სერვა — 18% -ით.

ეს მომატება, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, გამოწვეუ-  
ლია მარცვალთა რაოდენობის და მათი წონის გადიდე-  
ბით.

სურ. მე-12 გვიჩვენებს მოსავლის აღრიცხვის პერი-  
ოდში საკონტროლო ვაზს, რომელზედაც არ ყოფილა  
ჩატარებული არცერთი ზემოთაღნიშნული ოპერაცია. სუ-  
რათზე წაჩივენები ვაზი, აღებული სააღრიცხვო-საკონ-

ტროლო ვაზებიდან, წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესოს, მიუხედავად ამისა, განსხვავებას აშეარად ვამჩნევთ. /

ისტორიული  
ადგილობრივი



სურ. 12.

სურ. მე-13 გვიჩვენებს ვაზს, რომელზედაც ჩატარებული იყო ყლორტის წვეროების წაწყვეტა ყვავილობის

დასაწყისში. საკონტროლოსთან შედარებით, ყლორტის /  
წვეროების წაწყვეტის გამო, მტევნები უფრო ქუმსი და  
ბარაქიანია.


სურ. მე-14-ზე ნაჩვენებია ვაზი, ომელზედაც, ყვა-  
ვილობის დასაყისში ჩატარებული იყო შემოწეოლვა სა-  
კავებელზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ოპერაცია ზოგი-  
ერთ შემთხვევაში ახდენს ძლიერ მკვეთრ გავლენას: გა-  
მოდის იმდენად ქუმსი მტევანი, რომ შეიძლება გადაჭარ-  
ბებულადაც ჩაითვალოს. ამ ოპერაციის ადრე ჩატარება  
(დაახლოებით 10 დღით ადრე ყვავილობის დაწყებამდის)  
იწვევს წვრილი მარცვლების რაოდენობის გადიდებას, და  
მისი საშუალო წონის შემცირებას; უფრო გვიან ჩატარე-  
ბა კი ახდენს უფრო ზომიერ გავლენას.

ვინაიდან ერთსა და იმავე ჯიშის ვაზებს შორის (ან  
თითოეულ ვაზზე ყლორტებს შორის) არ არსებობს აბ-  
სოლუტურად ერთიდაიგივე სავეგეტაციო მდგომარეობა,  
ამიტომ მეტად ძნელია ამ ოპერაციის გატარებისათვის  
საუკეთესო მდგომარეობის შერჩევა. ყოველ შემთხვევა-  
ში, მისი ჩატარება უმჯობესია ყვავილობის დაწყების  
დროს. უფრო გვიან ჩატარება კი მარცვლის რაოდენო-  
ბის ნაკლებ გავლენას ახდენს, მაგრამ სამაგიეროდ იწ-  
ვევს თითოეულ მარცვლის წონაში მომატებას

მიღებული შედეგების მიხედვით, ყვავილობის დაწყე-  
ბის პერიოდში, ყლორტის წვეროების წაწყვეტა და შემო-  
სერვა საკავებელზე დარწმუნებით შეიძლება გამოვიყე-  
ნოთ მტევნის შეთხელების წინააღმდეგ საბრძოლველად  
და მაშასადამე, ვენახის საერთო მოსავლიანობის გასაღი-  
დებლად; პირველ რიგში ეს შეეხება საფერავის ჯიშს.

საჭიროა ამასთანავე საწარმოო ხასიათის ცდების მო-  
ხდენა სხვა ჯიშებზე, როგორიც არის, მაგალითად, მწვა-  
ნე და ცოლიკაური; ეს ოპერაციები შეიძლება გამოყე-

ნებულ იქნას რქაწითელზედაც, როდესაც საძირედ /  
ბულია დუ-ლო, რაღვან ამ დროს რქაწითელსაც ჟიაზუზრალ  
თებს თხელი მტევანი.



სურ. 13.

ყლორტის წევროების წაწყვეტა უნდა ჩავატაროთ  
ყვავილობის დაწყების პერიოდში; ვაშორებთ მხოლოდ  
ყლორტების ზედა ნაწილს, იმ ვარაუდით, რომ ზედა  
მტევნის ზემოთ დარჩეს არა ნაკლებ 5 ფოთლისა.

ნეკის ყლორტებზე წვეროების წაწყვეტას არ ვახ-  
დენთ. როდესაც ვაზს ნეკი არ აქვს ან ნეკზე მხოლოდ  
  
სამაგისტრო უნივერსიტეტი



სურ. 14.

ერთი ყლორტია, ამ შემთხვევაში საკავებელზე უნდა  
ამოვირჩიოთ სამავიერო ყლორტები. გარდა იმისა, რომ

ეს ოპერაცია მოსავალს აღიდებს, ის ამასთანავე გადა-  
ლებს ბრძოლას სხვადასხვა ავადმყოფობისა და ამიტომ  
ბელის წინააღმდეგ, იწვევს ასახვევ და საწარმოო შესა-  
ლის ეკონომის, ხელს უწყობს სამამულე და სანაყო-  
ფი ყლორტების უკეთ განვითარებას.

ამ ოპერაციის ჩატარება უნდა მოხდეს სხვა სამუშა-  
ობთან ერთად, როგორიც არის ახვევა და ნამხრევების  
შეცლა. ამ დროს ის არ მოითხოვს ბევრი მუშახელის  
დამატებას.

საკავებელზე შემოსერვაც დიდი თეორიული და პრა-  
ქტიკული მნიშვნელობისაა, ამიტომ მას უნდა მიეცეს  
ფართო გასაქანი პრაქტიკაში, განსაკუთრებით საფრა-  
ვის ჯიშის მიმართ და გამოცდის სახით სხვა ჯიშებზე-  
დაც უნდა იქნას გადატანილი.

საერთოდ, მწვანე ოპერაციები გაზის ზრდისა და მო-  
სავლიანობის რეგულაციისათვის, გასხვლასთან ერთად,  
ძირითად სამუშაოდ უნდა ჩაითვალოს ვენახში.

ნამხრევების შეცლა. ზოგიერთი მეცნახე ამ ოპე-  
რაციას არ აძლევს შესაფერ მნიშვნელობას და ნაკლე-  
ბად ზრუნავს მის წესიერ და დროულად შესრულებუ-  
სათვის. მაგრამ გაზის ძლიერი ზრდის დროს და ამას-  
თანავე ზოგიერთი ჯიშისათვის ამ ოპერაციას უნდა  
მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ნამხრევების შეცლა დამოუკიდებლად არ ტარდება,  
და მისი შესრულება შეთავსებულია სხვა სამუშაოსთან,  
უმთავრესად ახვევასთან.

ზოგიერთ შემოხვევაში, ჯიშისა და კლიმატური პი-  
რობების მიხედვით, აუცილებელია ეს ოპერაცია პირ-  
ველად ჩატარდეს ყვავილობამდის, რადგან ის ხელს  
უწყობს ამ უკანასკნელის წესიერად ჩატარებას. ამ  
დროს ნამხრევები ყლორტის ქვედა ნაწილში ჯერ

კიდევ ნორჩ მდგომარეობაში არის. ყლორტის ზედა წერილში მხოლოდ იწყებენ განვითარებას. უნდა შევავალოთ ყლორტის ქვედა ნაწილის ნამხერევები, ეს იწვევს მტევნების უკეთეს კვებას, და საბოლოოდ ყვავილობის ნორმალურად დამთავრებას — მარცვალთა წესიერი გამოხორბვლით. იმ მხრივ ეს ოპერაცია აუცილებელ სამუშაოდ უნდა ჩაითვალოს ყვავილობის დაწყებამდის საფერავის ჯიშისათვის და აგრეთვე იმ ჯიშებისათვისაც, რომლებსაც ახასიათებს ყვავილობის პერიოდში ძლიერი ყვავილთცვენა.

ზეგნის საბჭოთა მეურნეობაში 1932 წელს საფერავის ნაკლები მოსავალი ძირითადად უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ ყვავილობამდის ვერ ჩატარდა ახვევა და ნამხერევების შეცლა. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც 10 — 12 მტევნის წონა აღწევდა 800 გრამამდის. (აღნიშნულ წელს ჩვენ მიერ ჩატარდა მოსავლის აღრიცხვა თითოეულის მიხედვით 3.000 ძირ ვაზიდან).

საერთოდ ნამხერევი, როდესაც ის ნორჩ მდგომარეობაშია, უნდა მოსცილდეს ვაზს მთლიანად, საფუძველთან წაწყვეტით და არა ჩამოხლეჩით.

აღნიშნული სამუშაოს დაგვიანება არ არის სასურველი, განსაკუთრებით სამამულებელ და სანაყოფი ყლორტებისათვის. მაგრამ თუ მისი შესრულება დაგვიანდა და ნამხერევებზე ფოთლები საკმაოდ მომწიფდა, შაშინ მათი მთლიანად მოშორება უკვე საზარალოა; ამ შემთხვევაში საჭიროა მხოლოდ მათი წვეროების წაწყვეტა, 1 — 2 — 3 ფოთლის დატოვებით განვითარების და მიხედვით.

ეს ოპერაცია შეიძლება განმეორდეს ჯიშისა და ვაზის ზრდის პირობების მიხედვით 2 — 3-ჯერ.

ყლორტის წვეროების გვიან წაჭრა „ცის გახსნა“.  
ოპერაციით მთავრდება მწვანე ოპერაციები ვენაჭმილი  
მწვანე ოპერაციებიდან ცის გახსნა ყველაზე აღვისული ცეკვა  
მუშაოს წარმოადგენს. მაგრამ მისი შესრულების პრაქ-  
ტიკაში შეცდომები მაინც გვაქვს. მას ხშირად ეძლევა  
დეკორატიული ხასიათის მნიშვნელობა, ვენახისადმი სი-  
ლამაზის მისაცემად. ყლორტის თავების გადაჭრა ხდე-  
ბა უკანასკნელი მავთულის ან სარის სიმაღლესთან შე-  
ფარდებით. ეს კი იწვევს ბევრი მწვანე ნაწილის და-  
კარგვას, რასაც მხოლოდ უარყოფითი შედეგების მოცე-  
ბა შეუძლია.

ცის გახსნის მიზანია უკეთესი პირობების შემნა  
ყლორტებისა და მტევნების მომწიფებისათვის. ცის გა-  
ხსნა უნდა ვაწარმოოთ ვაზის ძლიერი ზრდის დროს. ჩვენი პირობებისათვის ის აუცილებელ ოპერაციას წარ-  
მოადგენს., ამიტომ მის წესიერად შესრულებას უნდა  
მიეკცეს მეტი ყურადღება; ბევრი ფოთლის მოშორება  
ვაზის ავნებს და პროდუქციის ჩარისხეც უარყოფით გა-  
ვლენას ახდენს. ცის გახსნის დროს ვაზის უნდა მოვაშო-  
როთ ყლორტების მხოლოდ წვეროები. ცის გახსნა  
ყლორტის წვეროების წაწყვეტისაგან, რომელიც ყვავი-  
ლობის დაწყების პერიოდში ხდება, განსხვავდება მხო-  
ლოდ სამუშაოს შესრულების დროის მიხედვით. ცის გა-  
ხსნა უნდა ჩავატაროთ ზრდის შეჩერების პერიოდში,  
დაახლოებით 20 ივლისიდან.

საჭიროა თუ არა ცის გახსნა ვაწარმოოთ ისეთ ვა-  
ზებზე, რომლებზედაც ჩატარებული იყო ყლორტის წვე-  
როების წაწყვეტა?

ყლორტის წვეროების წაწყვეტა ხდება ყვავილობას  
დაწყების პერიოდში, მტევნის გადაჭრაბებულ შეთხე-  
ლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ოპერაციის გა-

ვლენა მოკლე დროით განისაზღვრება (ყვავილობის დამზადვრებამდის); ყლორტის ზრდის წერტილის აღდგენის აღვილად ხდება და საბოლოოდ იმავე განვითარების და სიგრძის ყლორტს ვლებულობთ. ამას გარდა, როგორც აღვნიშნეთ, ყლორტის წვეროებს არ ვწყვეტი სამამულე და სანაყოფებზე. ამიტომ ცის გახსნას (ანუ ყლორტების თავების გვიან გადაჭრას) ვახდენთ ყლორტების წვეროების წაწყვეტის შემთხვევაშიც.

ცის გახსნის დროს ვაშორებთ ყლორტის წვეროებს 30 — 40 სმ. სიგრძეს. ამ ოპერაციის მკაცრად შესრულება ჩვენში ნაწილობრივ აიხსნება იმ გარემოებით, რომ ყლორტის ძლიერი ზრდისა და ვაზის არსებულ დასაყრდენ საშუალებათა პირობებში, ყლორტი ისევ გადმოკიდებულ მდგომარეობაში დარჩება, რაც ხელს უშლის რიგებში თავისუფალ მოქმედებას. აღნიშნულ შემთხვევაში, გრძელი ყლორტები უნდა გადავაკავოთ მავთულზე. ვაზის სარჩე დაყენების დროს, საჭიროა სათანადო სიმაღლის სარების შეჩინევა, ვაზის ადგილობრივ პირობებში ზრდასთან დაკავშირებით.

## დასეტუვილი ვენახის გასხვლა

ყველასათვის ცნობილია, თუ რა ზარალს აყენებს სეტყვა ჩვენს სოფლის მეურნეობას საერთოდ და მევენახეობას კერძოდ, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში. 1934 წელში სეტყვის მიერ გამოწვეული ზარალი ასეული ათასი მანეთით განისაზღვრებოდა. მიოხედვად ამისა, დასეტყვილი ვენახების გასხვლის საქმეში დღესაც არ გვაქვს ცოტად თუ ბევრად მეცნიერულად დასაბუთებული ლონისძიება დაზიანების გავლენის შესამცირებლად. ამ მიმართულებით მხოლოდ მეორე წელია, რაც მევენახეობის ინსტიტუტის გაზიარების და მწვანე ოპერაციების დამზადვრებამდის; ყლორტის ზრდის წერტილის აღდგენის აღვილად ხდება და საბოლოოდ იმავე განვითარების და სიგრძის ყლორტს ვლებულობთ. ამას გარდა, როგორც აღვნიშნეთ, ყლორტის წვეროებს არ ვწყვეტი სამამულე და სანაყოფებზე. ამიტომ ცის გახსნას (ანუ ყლორტების თავების გვიან გადაჭრას) ვახდენთ ყლორტების წვეროების წაწყვეტის შემთხვევაშიც.

ცის გახსნის დროს ვაშორებთ ყლორტის წვეროებს 30 — 40 სმ. სიგრძეს. ამ ოპერაციის მკაცრად შესრულება ჩვენში ნაწილობრივ აიხსნება იმ გარემოებით, რომ ყლორტის ძლიერი ზრდისა და ვაზის არსებულ დასაყრდენ საშუალებათა პირობებში, ყლორტი ისევ გადმოკიდებულ მდგომარეობაში დარჩება, რაც ხელს უშლის რიგებში თავისუფალ მოქმედებას. აღნიშნულ შემთხვევაში, გრძელი ყლორტები უნდა გადავაკავოთ მავთულზე. ვაზის სარჩე დაყენების დროს, საჭიროა სათანადო სიმაღლის სარების შეჩინევა, ვაზის ადგილობრივ პირობებში ზრდასთან დაკავშირებით.

5. ვაზის გასხვლა და მწვანე ოპერაციები

ტუტმა დაიწყო კვლევითი მუშაობა; ამ კვლევის საფუძ  
ქელზე აგებულია ქვემოთ მოცუმული ოჩევა-დარიგება.  
დასეტყვის შემდეგ გასხვლასთან დაკავშირებით.

დასეტყვილი ვენახის გასხვლის წესები შთლიანად  
დამოკიდებულია სეტყვის ინტენსივობაზე (დაზიანების  
ხარისხზე) და დასეტყვის დროზე.

დასეტყვის დროსთან დაკავშირებით, მხედველობაში  
უნდა იქნას მიღებული სამი ძირითადი პერიოდი:

1. დასეტყვა ყვავილობის დაწყებამდის (დაახლოე-  
ბით ათი დღით აღრე).

2. დასეტყვა ყვავილობის პერიოდში.

3. გვიან დასეტყვა, მარცვლის გამოხორბვლის შემ-  
დეგ, როდესაც ყლორტი საქმაოდ გახევებულია.

თითოეული პერიოდის დასეტყვის დროს გასხვლის  
საკითხს უნდა მიუუდგეთ სხვადასხვა მიზანდასახულობით.

ჩვენ ვიცით, რომ ფოთლის იღლიაში ზის მომავალი  
წლის კვირტი, ე. ი. ნორმალური პირობების დროს ის  
უნდა განვითარდეს მომავალი წლის გაზაფხულიდან.  
დასეტყვის შემდეგ გასხვლის ძირითადი მიზანი მდგომა-  
რეობს იმაში, რომ მივიღოთ მომავალი წლისათვის შე-  
დარებით კარგი ხარისხის მასალა ვაზისათვის ფორმის  
მისაცემად; ამისათვის ერთ შემთხვევაში საჭიროა არ  
დავუშვათ მომავალი წლის კვირტის განვითარება, მე-  
ორე შემთხვევაში კი საჭიროა მისი განვითარების ხე-  
ლოვნურად გამოწვევა.

ყვავილობის დაწყებამდის დასეტყვის დროს გასხვ-  
ლას ვაწარმოებთ ორი მიზნით: 1. ნაწილობრივ შევავ-  
სოთ დანაკლისი მეორეული მოსავლით (ხელოვნურად  
გამოტანილი მტევნებით) და 2. გამოვიწვიოთ განვითა-  
რება ისეთ ახალი ყლორტებისა, რომლებიც გამოგვადგე-  
ბა ვაზისათვის მომავალი წლის ფორმის მისაცემად.

ამისათვის, აღნიშნულ პერიოდში დასეტყვის დოკუმენტები უმჯობესია ყლორტები მოიჭრას მთლიანად, საფუძველი ისა თან, რომ ახალი ყლორტების განვითარება გამოვიწვროთ დამატებითი კვირტებიდან. ასეთი ყლორტები ბევრ შემთხვევაში ნაყოფიერია და ამავე დროს კარგად იზრდება. გაფურჩქვნა ადრე უნდა ჩავატაროთ და უნდა დატოვოთ არა უმეტეს 7 ყლორტისა. დასატოვებელ ყლორტების რაოდენობა იმ ვარაუდით უნდა განისაზღვროს, რომ გაფურჩქვნის შემდეგ დარჩეს 2—3 ყლორტით ნაკლები, ვიდრე დასეტყვამდის იყო. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ ასეთ მთლიან გასხვლას ვაწარმოებთ მაშინ, როდესაც ვენახი ძლიერ არის დასეტყვილი, ე. ი. მოსავალი მთლიანად დაღუპულია. გასხვლის შემდეგ მიღებული ახალი მოსავალი შედარებით უბარაჟია, თუ ვინდ ბევრი მტევანიც რომ გამოიტანოს ვაზმა, რადგან გვიან გამოტანილი მტევანი ყოველთვის პატარაა ნორმალურობან შედარებით.

რაც შეეხება ვენახის მეორე პერიოდში დასეტყვას, ამ დროს მთლიან გასხვლას ვაწარმოებთ იმ შემთხვევაში, თუ ვაზს არ შერჩენია არც ფოთლები და არც მტევნები. ამ შემთხვევაში ნეკზე ამოსულ ყლორტებს უნდა მივაჭციოთ განსაკუთრებული ყურადღება, რათა მომავალი წლისათვის მოვამზადოთ ვაზისათვის ფორმის მისაცემი მასალა. ამისათვის კვირტების დაზიანების მიხედვით გვექნება ორი გამოსავალი: ან ყლორტის საფუძვლის ორი კვირტი (მომავალი წლის) უნდა დავიცვათ გაღვიძებისაგან, ან ხელოვნურად დავაჩქაროთ მათი გაღვიძება.

უკეთესი მდგომარეობა გვექნება პირველი შემთხვევის დროს, — მომავალი წლისათვის უფრო სიმედო მასალას მივიღებთ ვაზისათვის ფორმის მისაცემად.

ყლორტის საფუძველთან მომავალი წლის კვირტების /  
გაღვიძებისაგან დაცვა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში  
ში, როდესაც ამ კვირტებს ზევით კიდევ არის დარჩენი-  
ლი 4—5 სალი კვირტი. ამ შემთხვევაში სამამულე  
ყლორტის გასხვლა საჭირო არ არის, რადგან ვაზი მწვანე  
ზედაპირს შეიცვებს ზედა კვირტებიდან ამოსული ყლორ-  
ტებით და საფუძვლის კვირტები კი გაუღვიძებელი და-  
რჩება; ისინი გამოვადგება მომავალი გასხვლისათვის. სა-  
კვებლის ყლორტებს ვსხლავთ 1—2 კვირტზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც ყლორტზე მხოლოდ სა-  
ფუძვლის ორი კვირტია სალად დარჩენილი და დანარ-  
ჩენი ზედა კვირტები დაზიანებულია, მაშინ სამამულე  
ყლორტს მესამე მუხლზე ვსხლავთ, რომ დავაჩქაროთ სა-  
ფუძვლის ორი კვირტის გაღვიძება; დანარჩენ ყლორტებს  
მთლიანად ვასწირებთ, ან ვსხლავთ 2 კვირტზე, საკავებ-  
ლის შემოკლებით. ორ კვირტზე ვასხვლა გააღვიძებს  
მომავალი წლის კვირტებს, რომლებიც უმეტესად ნაყო-  
ფიან ყლორტებს იძლევა, პატარა მტევნებით. გაფურ-  
ჩქვნის დროს უნდა დავტოვოთ არა უმეტეს 5 ყლორტისა.

როდესაც ვენახი მესამე პერიოდში ისეტყვება, ე. ი.  
გვიან, მარცვლის დახორბვლის შემდეგ ვასხვლა, მოშ-  
ვალი წლის ფორმისათვის ვარგისი მასალის მისაღებად  
ვერ ჩილევა სათანადო შედეგს. ამ შემთხვევაში მხო-  
ლა უნდა მოვაშოროთ ისეთი ნაწილები, რომელთაც  
სკოცხლის უნარი არ შეჩენიათ.

ეინაიდან ვენახის დასეტყვის დროს, ქარის მიმართუ-  
ლებასთან დაკავშირებით და თვით ვაზზე ყლორტების  
დალაგების მიხედვით, დაზიანების ხარისხი ყოველთვის  
სხვადასხვაგვარია, ამიტომ დასეტყვილი ვენახის ვასხლვა  
უნდა ხდებოდეს დიფერენცირებულად (თითოეული ვა-  
ზის დაზიანების მიხედვით.).

## 823.926.87-0 406061965

1. Зимоф. б. д. Непрерывное — „такащееся дерево“ Морозоустойчивое.
2. Зимоф. б. Живое — „Саженцы саженцы для выращивания из семян“
3. Мельник С. А.— „Основные положения для производства подрезки виноградных кустов и браковки привитых саженцев“.
4. Мельник С. А. „Новая теория обрезки винограда“.
5. Мельник С. А.— „Кривые цветения и осыпания цветов и ягод у винограда, подвергающегося прищипыванию“.
6. Мельник С. А.— „О времени обрезки винограда“.
7. Мерджаниан. А. С.— „Этюды по обрезке виноградной лозы“.
8. Мерджаниан А. С.— „Об осыпании и мелкоягодности винограда“.
9. Мерджаниан А. С., „Как обрезать виноградники, пострадавшие зимними морозами“.
10. Кипен А. А.— „Прививка и обрезка винограда“.
11. Благонравов П.— „Зимняя подрезка виноградной лозы“.
12. Благонравов П. К.— „Обломка зеленых побегов виноградной лозы“.
13. Гоголь-Яновский Г. И.— „Руководство по виноградарству“.
14. Фозис Г.— „Полный курс виноградарства“.
15. Барберон Г. А.— „Виноградарство“.
16. Кротков А. А.— „Виноградарство“.
17. Миллер.— „Руководство по виноградарству“.
18. Лазаревский М. А.— „Действие кольцевания побегов до цветения у осыпающихся ветвей винограда“.
19. Ганс Мольш.— „Физиология растений“.
20. Потебня А. А. и Скробицкий В. И.— „Руководство по виноградарству“.
21. Макаров-Кожухов Л. Н.— „Новые достижения по обрезке винограда“.

22. Макаров-Кожухов Л. Н.— „О роли пасынков виноградной лозы“.
23. Иост— „Физиология растений“.
24. Максимов— „Краткий курс физиологии растений для агрономов“.
25. Джекоб— „Кольцевание лоз“ (перев.).
26. Биолетти и Винклер— „Осыпание и подрезка“ (перев.).
27. Партид Н. Л.— „Обрезка и урожайность“ (перев.).
28. Вивет— „Раны во время обрезки“ (перев.).
29. Биолетти — „Ошибки при обрезке и их истребление“ (перев.).
30. Биолетти— „Обрезка винограда в Калифорнии“ (перев.).
31. Биолетти— „Прореживание кистей“ (перев.).
32. Корбетт Л. С.— „Обрезка“.

## ს ა რ ჩ ი ზ ი

83.

შესავალი	3
გასხვლა	5
ზამთრის ყინვებისაგან დაზიანებულ ვენახრს გა-	
სხვლა	30
შწვანე ოპერაციები	36
დასეტყვილი ვენახის გასხვლა	65

